ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130—1624

სექტემბერი

№ 9 1982 წ.

# დროშა

ახალგაზრდობის ზეიმი
ეროვნული
ბიბლიოთეკა








# ახალი გამარჯვებები

**გ. ა. ალიევი,**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

...ჩვენი მეგობრობის შთამაგონებელი და ორგანიზატორია ჩვენი კომუნისტური პარტია, ლენინური ეროვნული პოლიტიკა, პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თანამედროვეობის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, მგზნებარე ინტერნაციონალისტი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

დიდი სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა წარმატებით წყვეტს ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მასშტაბურ ამოცანებს, გულდაჯერებით მიაბიჯებს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში, წლითიწლობით აღწევს ახალ-ახალ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით, თვალსაჩინო ისტორიული მიღწევებით ხვდებიან სსრ კავშირის სახელოვან 60 წლისთავს — მთელი საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულს.

...განაგრძო რა მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედების სახელოვანი შრომითი მიღწევების ესტაფეტა, საბჭოთა აზერბაიჯანმა მეთერთმეტე ხუთწლედის მარშზე ახალი გამარჯვებები მოიპოვა ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე. რესპუბლიკამ გულდაჯერებით შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ყველა გეგმა და სოციალისტური ვალდებულება, მიაღწია ეროვნული შემოსავლის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. წარმატებით ხორციელდება მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის გეგმები.

დასახული გეგმების წარმატებული განხორციელების მთავარი პირობაა მშვიდობა, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება...

# უკვდავია მხოლოდ სამშობლო

**მირზა იბრაგიმოვი,**

სოციალისტური შრომის გმირი.

ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ჩემი რესპუბლიკის სახელწოდება „აზერბაიჯანი“ წარმოსდგება სიტყვისაგან „აზერ“, რაც ცეცხლს, შუქს ნიშნავს. იქნებ დასაბამი ამ სახელისა ჩვენი წინაპრებისგან — ცეცხლთაყვანისმცემელთაგან მოდის. როგორც არ უნდა იყოს, ცეცხლი, სინათლე — თავისუფლებისა და სიხარულის სიმბოლოებია, ყოველთვის რომ ცოცხლობდა ჩემი ხალხის, მაღალი ზნეობის, ჰუმანური გრძნობების მქონე ხალხის სულში. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი სიკეთისაკენ, სამართლიანობისაკენ და ბედნიერებისაკენ ისწრაფვოდა.

აზერბაიჯანის ისტორია სავსეა მდიდარი ამბებით. ჩვენს ქვეყანაზე ჯერ კიდევ უძველეს დროში ლაპარაკობდნენ ბრძენი სწავლულები ჰეროდოტე და სტრაბონი. XII საუკუნის დიდი აზერბაიჯანელი პოეტი ნიზამი განჯელი თავის ქმნილებებში უმღეროდა ჩემი ხალხის სახელმწიფო და სამეურნეო წყობას, მის ლამაზსა და მდიდარ ჩვეულებებს. საუკუნეთა სიღრმეებიდან ჩვენამდე მოუღწევია ლიტერატორთა, მუსიკოსთა, სწავლულთა, ფილოსოფოსთა ისეთ სახელებს, რომლითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა. თავისი სილამაზით, მონუმენტურობითა და დახვეწილობით დღემდე მნახველებს ხიბლავენ მატერიალური კულტურის ძეგლები კიროვაბადში (განჯა), შექში, შუშაში, ბაქოში. აზერბაიჯანელი ქალიშვილების მიერ მოქსოვილი ხალიჩები უძველესი დროიდან დღემდე მოწონებით სარგებლობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

აზერბაიჯანში გლეხების სისხლისა და ოფლის ფასად, ოსტატთა დაუღალავი მარჯვენით, მინიატურისტთა გარჯილობით შენდებოდა მწვანეში ჩაფლული ქალაქები და სოფლები, შენდებოდა მშვენიერი სასახლეები, მედრასები, ობსერვატორიები და სიმაგრეები, რაიც იშვიათ ხუროთმოძღვრულ ნიმუშებს წარმოადგენენ. მაგრამ მთელი ეს სიმდიდრე, შექმნილი მშრომელთა შრომით, მათი შვილების გენიით, საუკუნეთა განმავლობაში პარაზიტების ჯგუფის ხელში იყო. მხვნელ-მთესველი შიმშილით კვდებოდა, წყაროების მშენებელს პირი წყურვილით უშრებოდა, ხუროთმოძღვრებს, რომელთაც სასახლეები აუგიათ, თავისი კუთხე-კუნჭული არ გააჩნდათ.

მიუხედავად ხალხის ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობისა, აზერბაიჯანი XX საუკუნეს ღატაკი და მივიწყებული შეხვდა. ეს იყო მეფის რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი კუთხე.

ნამდვილი შუქი და თავისუფლება აზერბაიჯანელ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებამ, საბჭოთა ხალხთან ძმურ, მრავალეროვან ოჯახში გაერთიანებამ მოუტანა. რაოდენი შუქი ეფინა ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილ უბრალო სიტყვების შემცველ დეპეშას, რომელიც 1920 წლის 5 მაისს აზრევკომმა მიიღო: „გაუმარჯოს აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს! გაუმარჯოს აზერბაიჯანისა და რუსეთის მუშებისა და გლეხების კავშირს!“ ამიერიდან ყველაფერი შეიცვალა ჩემი ხალხის ცხოვრებაში. მისი ისტორია თითქმის თავიდან დაიწყო.

მე მაშინ ცხრა წლისა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორი ნათელი ღიმილი ეფინათ ადამიანებს. თითქოს მზე ჩამოვიდა მიწაზე.

დიახ, ჩემი ბედი ისე წარიმართა, რომ მე ჩემი ხალხის გამოღვიძების, ბნელი ცხოვრებიდან ადამიანური ბედნიერების მწვერვალისაკენ მისწრაფების მოწმე გავხდი. ეს აბსტრაქტული სიტყვები როდია. ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი ჩემს ხალხზე, ჩემს თანამემამულეებზე შესისხლხორცებული მაქვს, ამას ყოველივეს გრძნობა მკარნახობს.

რომელიმე სკეპტიკოსი იტყვის, რომ მე მიკერძოებული ვარ, დაბანგული და გატაცებული ჩემი თანამემამულეების ძლიერი სიყვარულით. ზოგი კი ასე იტყვის: საკუთარი პერანგი სხეულთან ყველაფერზე უფრო ახლოაო. რა გაეწყობა, რაღაცაში დავეთანხმები ერთსაც და მეორესაც. მაგრამ ერთ ანდაზას გავიხსენებ: „აშული მღერის იმაზე, რაც თვითონ ნახა“.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა










ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოს ხედი.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ბაქოს ფილიალი.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, აზერბაიჯანში!

სუმგაითის ნავთობ-ქიმკომბინატის აგრეგატები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (549) სექტემბერი. 1982

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1982 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.



[illegible library stamp]





# აზერბაიჯანი






- ბაქო. მთავრობის სახლი.
- აზერბაიჯანის თბოელექტროსადგურის მეორე აგრეგატის მშენებლები.
- საბურღავი გემი გამოცდაზე.
- მეჩაიე ანახანუმ სოზაევი.
- ბამბის ალება.



მე მწერალთა იმ რიცხვს ვეკუთვნი, რომელნიც თვალებს უფრო ენდობიან, ვიდრე გაგონილს. აი, ამიტომაც გამოხატავენ ეს სიტყვები იმას, რისი ნახვაც ჩემი ცხოვრების სამოცდაათი წლის მანძილზე ბედმა მარგუნა.

...შეიცვალა მთელი ცხოვრების ყოფა, გადაფასდა ადამიანის შრომა, თავისუფალი ხალხის შესაძლებლობანი. ახალმა საზოგადოებრივმა წყობამ მშრომელი მასების გიგანტური შემოქმედებითი ენერგია რომ გაათავისუფლა, სასწაულებრივ გარდაქმნა მთელი რესპუბლიკა. პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხის მეგობრულ ოჯახში, დიდი რუსი ხალხის დახმარებითა და მხარდაჭერით ჩემი რესპუბლიკა აყვავდა და გაიფურჩქნა. ჩვენი მიღწევათა მასშტაბები განუსაზღვრელია. მილხაპიებიდან—ნავთობქალაქამდე. წვრილ-წვრილი კუსტარული სახელოსნოებიდან—თანამედროვე ელექტრონიკის გიგანტამდე — ბაქოს საყოფაცხოვრებო კონდიციონერების ქარხნამდე, თოხიდან — მსხვილ აგროკომპლექსამდე, უსახური კონკიდან — ბაქოს მიწისქვეშა მეტროპოლიტენის სასახლეებამდე, ნავთის ლამპიდან — მინგეჩაურის ჰიდროელსადგურამდე და ალი-ბაილამლინის თბოელექტროსადგურამდე... ქვეყანა, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ნავთობის გარდა ყველაფერი შეჰქონდათ, ახლა მსოფლიოს 80 სახელმწიფოს 350 დასახელების სამრეწველო ნაწარმს აწვდის.

ბაქოს გზისმაჩვენებელში, რომელიც 1914 წელს გამოიცა, ნათქვამია: „უბადრუკი გარემო, სადაც სიმწვანის ნასახი არ არის, მუდმივი მტვერი და ჭვარტლი, თითქმის ტროპიკული სიცხე, ყველას, ვისაც კი ნავთთან საქმე არა აქვს, აიძულებს, გაიქცეს აქედან...“ ახლა ბაქო ერთ-ერთი ყველაზე მწვანით მოსილი ქალაქია აზერბაიჯანში. აი სხვა ფაქტიც. 1923 წლის ზაფხულში გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ეკონომიკური ბლოკადის გარღვევის შემდეგ საბჭოთა აზერბაიჯანი პირველად მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენაზე. შემდეგ ჩამოთვლილი იყო რა სახის ნაწარმს წარმოადგენდა: ნავთობის ორ სახეობას, გოგირდოვან კოლჩედანსა და ხალიჩებს. თექვსმეტი წლის შემდეგ ნიუ-იორკის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვა ექსპონატები: მინგეჩაურის ჰიდროელსადგურის მაკეტი. თალიშის სარწყავი სისტემა. ექსპონატები რესპუბლიკის მზარდ ტემპზე მეტყველებდნენ.

აი რა ასოციაციებს იწვევს კონკრეტული ფაქტები!



მ. აზიზბეკოვის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი.

დღეს აზერბაიჯანი მთლიანად ელექტროფიცირებული რესპუბლიკაა. ყოველწლიურად აქ იმდენი ელექტროენერგია გამომუშავდება, რაც თურქეთში, ირანსა და პაკისტანში ერთად აღებული.

მახსენდება მამაჩემის გლეხური ქოხი. როგორც კი დაბინდდებოდა, დასაძინებლად ვწვებოდით, იმიტომ, რომ აზერბაიჯანში, რომლის წიაღშიც ასე უხვად არის ნავთობი, ნავთისა და უბრალო სანთლის შეძენა ჭირდა. მთელ სოფელში ორ-სამ ადგილას ბჟუტავდა ნავთის ლამპა. ხშირად ღუმელში ცეცხლის დასანთებად ასანთს მეზობლისაგან ვსესხულობდით.

ჩემი ხალხის მიღწევების, მისი სასიხარულო ცხოვრების შესახებ რომანები იწერება, თხზავენ ოდებს, მუსიკის ენით უმღერიან, ფერწერით ამკობენ ადამიანურ მამაცობას.

როცა საზღვარგარეთ სიტყვა საბჭოთა აზერბაიჯანზე, ისტორიულად მოკლე დროში მის გიგანტურ მიღწევებზე ჩამოვარდება, ობიექტური და პატიოსანი ხალხიც კი გაოცებით გვეკითხება ასეთი სწრაფი პროგრესის საიდუმლოების შესახებ. ჩვენთვის, რასაკვირველია, ცხადია ეს „საიდუმლო“: ხალხმა მოიპოვა სრული თავისუფლება, თითოეულ პიროვნებას აქვს თავისი ნიჭისა და უნარის გამოჩენის შესაძლებლობა, შრომობს და იღვწის ჩვენი ხვალინდელი ცხოვრებისათვის — კომუნიზმისათვის.



აზერბაიჯანული რთველი.

განსაკუთრებული მღელვარებითა და სიხარულით ვეგებებით საბჭოთა ხალხის ერთ ძმურ ოჯახად გაერთიანების 60 წლისთავს. ვფიქრობთ, ვოცნებობთ, შევყურებთ მომავალს. ჩვენი ფიქრი და მისწრაფება კი მუდამ პარტიასთან, სამშობლოსთან ერთადაა! და აი რატომ მინდა კიდევ და კიდევ ვთქვა: უკვდავია მხოლოდ სამშობლო და მისდამი საუკუნოდ მიძღვნილი ჩვენი გულები.

ჩვენი მეზობლები

## მამედ არაზი

### ნუგეში თავისა

თუკი დღეყოველ
ვერ გასმინე
ლექსი ახალი,
არა სთქვა:
მოკვდა,
დაიშრიტა უკვე რა ხანი!
შთაგონებაა
ლექსის ძირი,
წმინდა ზმანება
და იგი ზოგჯერ
ზღვაში მყვინთავს
მიემგვანება.
თვის სამყაროში
მან ხანდახან
რომ არ ჩაყვინთოს,
ვით ამოიღებს
დაკარგული
სიტყვის აკიდოს!

### მ ე ზ ო ბ ე ლ ი

არ შეუხსნია სიცოცხლეში სხვისი კარები,
არც მის სუფრაზე მოლხენილა დოსტი, სტუმარი.
ასე გასრულდა წუთისოფლის მისის ბწკარები
და დაიხურა წიგნი უტყვი და უჩუმარი.

ცოლი ატირდა, მთელმა ეზომ მივუსამძიმრეთ, —
განუსვენოსო! მივედით და თავი დავხარეთ.
ვეცით პატივი, დავტრიალდით, განა გავწირეთ
და ჩვენს მეზობელს მიწა ბოლოს ჩვენ მივაყარეთ.

ვფიქრობდით: ნეტა თუ გვინახავს სადმე ცოცხალი!
ვერ გავიხსენეთ, მხრებს იჩეჩდა უმრავლესობა.
როდესაც მოკვდა, მერე ვნახეთ, რომ საცოდავი
ცხოვრობდა თურმე ოცდაათ წელს კარის მეზობლად.

### ზოგიერთ პოეტს

ცოტა იკმარეთ ტაში და ცოტა იკმარეთ ქება.
ლაპარაკს ლექსი შეექმნას, ვის გაუგია, სადა?
სინამდვილეში თუ არ ვართ, ფიქრი ხომ შეიძლება,
რომ ჩვენთაგანი მრავალი გენიად დაიბადა.

ჯანდაბას ჩინი მაღალი, რად ვიდგამთ გლოვის ტახტებს!
ერთხელ ჩვენს საქმეს შევხედოთ, ვით ჯარისკაცულ საქმეს.
თავად განსაჯეთ: სუყველა გენერალი რომ გახდეს,
ნეტავი გენერლობასა მერე ვინ რაღას აქნევს!

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ზეზვა მედულაშვილმა.

## ჰუსეინ არიფი

### ს ა უ ბ ა რ ი

— მითხარ, ყაყაჩოვ, საით მიიწევ?
— გაზაფხულისკენ! — იყო პასუხი.
— მზევ, ასე მღელვარედ რატომ ანათებ?
— მე ვათბობ მიწას! — იყო პასუხი.
— შენ, ვაშლისხეო, რად იფურჩქნები?
— ნაყოფს ვამწიფებ! — იყო პასუხი.
— მუხავ, ძლიერო, დიდხანს იზრდები?
— მე არ ვბერდები! — იყო პასუხი.
— შენ სად პოულობ ჰანგებს, ბულბულო?
— სიხარულსა და გულისძგერაში.
— შენ კი, ბუვ, რატომ გარინდებულხარ?
— ვშიშობ, სიავე არ დაგიბედო...

თარგმნა ხუტა ბერულავამ.

## ნიზამი განჯელი



# შაჰი და მსახური

უხსოვარ დროში იყო ერთი მრისხანე შაჰი. შინაურსა თუ გარეულს შიშის ზარსა სცემდა. შაჰს ქოფაკი ძაღლების დიდი ხროვა ჰყავდა. ისეთი ბომბორა ნაგაზები იყვნენ, ერთი კბილი რომ გაეკრათ, აქლემს თავს წააგდებინებდნენ. ვაი მას, ვისაც შაჰის რისხვა თავს დაატყდებოდა, თუ ვინმეს აითვალწუნებდა, ძაღლებს აუშვებდა, ისინიც საწყალს დაესეოდნენ, უმალ გაგლეჯდნენ და შესანსლავდნენ.

შაჰს ერთი ახალგაზრდა მსახური ჰყავდა. ჭკუა-გონებით გამოირჩეოდა. ჭაბუკმა იფიქრა, სისხლისმსმელ შაჰთან სიკეთე არ გადის, უდანაშაულო ადამიანებს სასტიკად სჯის, ალბათ, ჩემი ბოლოც ესააო.

ამის გაფიქრებაზე ჭაბუკი შეძრწუნდა. ამიტომაც, ძაღლების მომვლელთან დაახლოება სცადა და მისმა ოინმა კიდეც გაჭრა.

ჭაბუკი ძაღლებს ყოველდღე ხორცის ნაჭრით უმასპინძლდებოდა და ისე მიიჩვია, რომ მუდამ კუდის ქიცინითა და ლაქუცით ეგებებოდნენ.

ერთხელაც ულმობელმა შაჰმა ჭაბუკზე გული აიყარა. წარბი შეიჭმუხნა, ჯალათი დაიბარა და უბრძანა, ყმაწვილი ძაღლებს მიუგდეთო. ხელ-ფეხი შეუკრეს და ძაღლებს მიუგდეს.

გაცოფებულმა ძაღლებმა ჯერ შეუტიეს, შეუღრინეს, შემდეგ იცნეს, შედგნენ, კუდი ამოიძუეს, თავი თათებში ჩარგეს, შებორკილ ჭაბუკს გარს შემოეხვივნენ, თითქოს მოსალოდნელ ხიფათს უნდა არიდონო.

ირიჟრაჟა. ცის დასალიერი ოქროსფრად შეიღება. შაჰი სინდისმა შეაწუხა, მხლებლები მოიხმო და უთხრა:

— ყმაწვილი გუშინ ძაღლებს მივუგდე, წადით, ნახეთ, ცოცხალია თუ მკვდარი?

სასახლეში ჩოჩქოლი ატყდა. ძაღლების მომვლელი გულამოვარდნილი მოიჭრა და შაჰს მოახსენა:

— პირდაპირ სასწაულია, ჭაბუკი გადარჩენილა. ძაღლებს პირი არ დაუკარებიათ.

ამის გაგონებაზე შაჰმა ბრძანა:

— ის ვაჟბატონი აქ მომგვარეთ!

ჭაბუკს ხელ-ფეხი შეუხსნეს და მეფეს მიუყვანეს.

შაჰმა თვალებს არ დაუჯერა, ჭაბუკი საღ-სალამათი რომ ნახა.

— ჭაბუკო, გულახდილად მითხარი, ნუ დამიმალავ, ძაღლების ბასრ კბილებს თავი როგორ დააღწიე? — ჰკითხა.

— შენი ამბავი ვიცოდი. ვგრძნობდი, რაც მელოდა. ჭკუა ვიხმარე, ძაღლებს ლუკმა დავუგდე, მივიჩვიე. მათ ჩემი სიკეთე დაინახეს. შენ კი, დიდებულო ხელმწიფევ, ღმერთმა დღეგრძელობა მოგცეს, ათი წელია, გემსახურე, ბოლოს სიკეთე იმით გადამიხადე, რომ ძაღლების შესაჭმელად გამიმეტე. ცხოველიც კი მადლს დაგიფასებს, ძვალს მიუგდებ და დაგიმეგობრდება. ავკაცს თავიც რომ ანაცვალო, გადაჰყვე, სულ ერთია, გაგწირავს, — მიუგო ჭაბუკმა.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
მამიკონ თაქორიანმა.

**ე. შჩემელევა,**
პ. ა. ჯაფარიძის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

# ქართველი კომისრის სახლ-მუზეუმი ბაქოში

ორიოდე წლის წინათ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის პროკოფი (ალიოშა) აფრასიონის ძე ჯაფარიძის დაბადების 100 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ბაქოში გაიხსნა ალიოშა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი.

მცირე დროის მანძილზე მუზეუმის თანამშრომლებმა ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება მოასწრეს. ბაქოს კომუნის ლეგენდარული კომისრის ალიოშა ჯაფარიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფართო პროპაგანდასთან ერთად, სახლ-მუზეუმში დიდი ყურადღება ექცევა ახალი ექსპონატების შეგროვებას, მათ გულმოდგინე შესწავლას, თვალსაჩინო ადგილზე გამოფენას.

სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, მოიძიონ ახალი დოკუმენტები, მასალები და მოგონებები, რომლებიც ნათლად გააშუქებენ თემებს: „პ. ჯაფარიძის ბავშვობისა და ყრმობის წლები“, „პ. ჯაფარიძის მუშაობა ბაქოში 1904-1909 წლებში“, „პ. ჯაფარიძე გადასახლებაში“, „ბაქოს კომუნის ცხელი გული“ და სხვ.

სახლ-მუზეუმისადმი დიდ ყურადღებას და შეუნელებელ მზრუნველობას იჩენენ ალიოშა ჯაფარიძის ქალიშვილები ელენე და ლიუცია. თავიანთ წერილებში ბაქოელი კომისრის ქალიშვილები დაწვრილებით მოგვითხრობენ მამაზე, დედაზე — ალიოშა ჯაფარიძის ერთგულ მეუღლესა და მეოჯახეზე — ბარბარე მიხეილის ასულ ჯაფარიძეზე, იხსენებენ მამის მეგობრებს, თანამებრძოლებს, ახლობლებს.

ამას წინათ ჯაფარიძის ქალიშვილებმა სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცეს მამისეული პასპორტი, მაგიდის საათი, წიგნები, ალიოშა ჯაფარიძის ხელით შედგენილი კონსპექტები, წერილები...

ელენე და ლიუცია ჯაფარიძეებმა აგრეთვე გამოგვიგზავნეს სია მამის საყვარელი წიგნებისა. რომელთაც გატაცებით კითხულობდა ალიოშა ჯაფარიძე. საუკეთესო ორატორი და პუბლიცისტი, პროფესიონალური რევოლუციონერი ალიოშა ჯაფარიძე ყოველთვის პოულობდა დროს მხატვრული ლიტერატურის საკითხავად. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე გატაცებით სწავლობდა ფილოსოფიას, ეკონომიკას, ისტორიას. გადასახლებაში ყოფნისას დამოუკიდებლად შეისწავლა გერმანული ენა. გერმანულ-რუსული ლექსიკონი, რომელსაც იგი იყენებდა, აგრეთვე იროდიონ ევდოშვილის მიერ ალიოშა ჯაფარიძისთვის მიძღვნილი წიგნი ავტოგრაფით ამჟამად სახლ-მუზეუმის ძვირფასი ექსპონატებია.

ლიუცია და ელენე ჯაფარიძეები სახლ-მუზეუმს ალიოშა ჯაფარიძის შესახებ დაწერილ მოგონებათა შეგროვებაშიც ეხმარებიან. ვერა ჯაფარიძემ გამოგვიგზავნა მოგონებები თავის ძმაზე, მედეა ჯაფარიძემ, ალიოშას ძმისშვილმა — ოჯახური ფოტოსურათები. ამ სურათებზე ბაქოელი კომისრის ახლობლები არიან აღბეჭდილნი. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ალიოშა ჯაფარიძის და — ვერა და ბაბუა — გიგა ჯაფარიძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მომავალი რევოლუციონერის აღზრდაში.

მუზეუმის ფონდები შეივსო პ. ჯაფარიძის ველიკო უსტიუგში გადასახლების დროინდელი (1911-1914 წ.წ.) ორი ფოტოსურათით, რომლებიც მოსკოვიდან გამოგვიგზავნა ყოფილი პოლიტგადასახლებულის ქალიშვილმა ვერონიკა შერმა.

ვერონიკა შერი ლიუცია ჯაფარიძესთან და სხვა პოლიტგადასახლებულთა ბავშვებთან ერთად „იხდიდა სასჯელს“ ველიკო უსტიუგში. მას კარგად ახსოვს ბავშვობის შთაბეჭდილებები და გვწერს იმ მეგობრობასა და ურთიერთდახმარებაზე, რომელიც სუფევდა კოლონიის პოლიტგადასახლებულთა შორის. მუზეუმში ინახება ამ ბავშვების ფოტოების ასლი, ხოლო ღედნის უკანა გვერდზე მიწერილია პ. ჯაფარიძის ხელით — „ესენიც გადასახლებულნი არიან“.

ეს ექსპონატები წარსულის უტყვი მოწმეებია, ხოლო ცოცხალი მოწმეები არიან ლეგენდარული კომისრის ქალიშვილები ლიუცია და ელენე ჯაფარიძეები, ალიოშას ამხანაგების შვილები, სერგო ორჯონიკიძისა და ვანო სტურუას ქალიშვილები — ეთერ ორჯონიკიძე და ევგენია სტურუა, 26 ბაქოელი კომისრის ნათესავები, რომლებიც აქტიურად გვეხმარებიან მუზეუმის მუშაობაში.

პ. ჯაფარიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მონოგრაფიის ავტორებმა — [illegible]რინიანმა, გ. გარემჯანიანმა, [illegible] სალთაძემ, ა. კარაპეტიანმა, ე. ზედგენიძემ სახლ-მუზეუმს გადმოსცეს თავიანთი ჩანაწერები, მონოგრაფიები ავტოგრაფებით, ფოტოსურათები და სხვა ექსპონატები.

მუზეუმს მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს ქალაქის მე-3 კლინიკურ საავადმყოფოსთან, რომელიც რევოლუციონერის სახელს ატარებს. ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საავადმყოფოში წარმატებით ჩაიარა სახლ-მუზეუმის კვირეულმა. ჩვენი ფონდები შეივსო ახალი, საყურადღებო მასალებით. საავადმყოფოს წინათ ბალახან-საბუნჩინსკის საავადმყოფო ერქვა. ეს უძველესი საავადმყოფო 1903-1907 წლებში ბოლშევიკების ხშირი თავშეყრის ადგილი და ერთგვარი შტაბი იყო. მახლობელ სარეწ ადგილებში მუშაობდა და რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა ალიოშა ჯაფარიძე. რევოლუციის პერიოდში საავადმყოფოს სამრეცხაოსა და სხვა შენობებში საიმედოდ ინახავდნენ შაშხანებს, ყუმბარებს, აჯანყებისა და დაუნდობელი ბრძოლისადმი მოწოდების ფურცლებს.



საქართველოდან გაგზავნილი მუზეუმის ახალი ექსპონატები.

სახლ-მუზეუმს აქტიური მიმოწერა აქვს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა არქივებთან, მუზეუმებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან. ეს მიმოწერა გვეხმარება ახალი საინტერესო მასალებით შევავსოთ განყოფილებები. მაგალითად, ამას წინათ კრასნოიარსკის სახელმწიფო არქივიდან გამოგვიგზავნეს აქამდე უცნობი საბუთები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას ჰფენს პ. ჯაფარიძის ენისეის გუბერნიის სოფელ კამენკაში გადასახლების პერიოდს.

მუზეუმის ფონდში მრავლადაა საქართველოს, ვოლოგდის, როსტოვის და სხვა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების არქივებიდან მიღებული მდიდარი მასალები.

ქართველი ხალხის საამაყო შვილის ალიოშა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქში. იგი ბაქოს მშრომელთა და სტუმართა თავშეყრის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია.

# მასწავლებლები — ახალგაზრდობას



**გიული ეპიტაშვილი,**
თბილისის 57-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

ადამიანი სწავლით, სკოლით იწყება. აქ ეყრება საფუძველი მის სულიერ სიმდიდრეს, მეცნიერულ ცოდნას, მომავალ პროფესიას. აქ იფურჩქნება მაღალი ზნეობის, შრომისმოყვარეობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის პირველი ყლორტები. ამიტომაც სწავლის დაწყება ცოდნის დღესასწაულად დამკვიდრებულა და დიდს და პატარას ერთნაირი სიხარულით აღავსებს.

ახალი 1982-83 სასწავლო წლის დაწყება დაემთხვა ღირსშესანიშნავ პერიოდს. ჩვენი ხალხი თავდადებული შრომითა და თვალსაჩინო წარმატებებით ეგებება სსრ კავშირის — მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა მრავალეროვანი ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მე-60 წლისთავს.

ასეთ ვითარებაში ჩვენი სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ვალია, იშრომონ თავდადებულად, ისწავლონ ბეჯითად, რათა გახდნენ ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი.

დიდ შრომით წარმატებებსა და წარჩინებულ სწავლას გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო!



**შალვა ლაბაძე,**
ხაშურის მესამე საშუალო სკოლის დირექტორი.

ძვირფასო ბავშვებო! მშობლიური კომუნისტური პარტია და მთავრობა ყოველთვის ზრუნავდა და ზრუნავს თქვენზე, თქვენს კარგ აწმყოსა და უკეთეს მერმისზე. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა არტეკში პიონერებთან შეხვედრისას თქვენ, ბავშვებს, პლანეტის იმედი და მომავალი გიწოდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალზე ზრუნვა და ფიქრი თქვენზე ზრუნვა და ფიქრია, ხოლო თქვენზე ზრუნვა და ფიქრი კი ჩვენი ქვეყნის, მთელი პლანეტის მომავალზე ზრუნვა და ფიქრია. სასახელო საქმეებით უნდა უპასუხოთ ამ დიდ ამაგს. ჩვენ, უფროსები, დიდად კმაყოფილნი ვართ თქვენი მონაწილეობით პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებაში, სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. თქვენს მიერ დამზადებული ათასობით ტონა თივა თუ სენაჟი, აქტიური მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, საუკეთესო პასუხია პარტიისა და მთავრობის მოწოდებათა შესასრულებლად.

გახსოვდეთ, თქვენს მიერ შექმნილ პროდუქციაზე გაცილებით უფრო დიდი ფასი აქვს თქვენს მაღალ ზნეობას, თქვენს სიყვარულს საქმისადმი, თქვენს პიონერულ და კომკავშირულ შემართებას, რაც გვარწმუნებს, რომ საიმედო ცვლა გვეზრდება.

# სიყვარულით განათებული გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკოლის ზარი აწკრიალდა. ბავშვები ჟღურტულით მოეფინენ სინათლით გაჩახჩახებულ ოთხსართულიანი სკოლის ფართო დერეფნებს. სულ პაწიები, პირველი კლასის მოსწავლეები, ერთად შეგროვდნენ კუთხეში და მოლოდინით აღსავსე თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ. ისინი გულნარა მასწავლებელს ელიან, მათ თოჯინების თეატრში მიეჩქარებათ...

გულნარა ჯიშკარიანი, 161-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი, მშვიდად გამოდის ოთახიდან, ასევე მშვიდად, მკაფიოდ ეუბნება ბავშვებს რამდენიმე ფრაზას, თითოეულ მოსწავლის გულს რაღაც უხილავი სხივებით უკავშირდება და სულ ორიოდე წუთში ბავშვები დაჯერებულად, იმედიანად და ამაყად მისდევენ მასწავლებელს.

— გულნარა ჯიშკარიანი მარტო სკოლაში არ ხვდება ბავშვებს, — გვეუბნება სკოლის დირექტორი ლონდა მებურიშვილი, — მათთან ერთად ხშირად არის ბუნების წიაღში, ზოოლოგიურ პარკსა თუ ბოტანიკურ ბაღში. დედაენისა და მშობლიური მხარის სიყვარულს იგი აღსაზრდელებს ცარიელი ფრაზებით არ უნერგავს. აბა წარმოიდგინეთ, რა სასიამოვნოა ბავშვებისათვის ხალხური თქმულებების, ანდაზებისა და გამოცანების ენით საუბარი და რა შეუმჩნევლად შეიძლება ამ მეთოდით გამდიდრდეს მოზარდის მეხსიერება და ლექსიკა. განა შეიძლება, ბავშვმა დაივიწყოს ცოცხალი, საინტერესო საუბარი იმაზე, თუ რატომ იქცევა სითბოში ყინული წყლად, რატომ ყვითლდება შემოდგომაზე ფოთლები. ის თანდათან ეჩვევა ბუნებაზე დაკვირვებას. რა სახალისოა, როცა იქვე, ბუნების წიაღში, სახელდახელოდ ყვავილები, ჩიტები, თევზები თუ ცხოველები მათემატიკური ამოცანების ციფრებად იქცევიან... ერთი სიტყვით, გულნარა ჯიშკარიანს აქვს ძალა დედაენის, მათემატიკის, შრომის, სახვითი ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების გაკვეთილები ერთმანეთთან შეუმჩნევლად დააკავშიროს, ბავშვებს განუვითაროს ცოდნისაკენ სწრაფვის გრძნობა, მიაჩვიოს დამოუკიდებელ აზროვნებას.

თვითონ გულნარა მასწავლებელს მიაჩნია, რომ არაფერი განსაკუთრებული არ არის მის საქმიანობაში.

— როცა საყვარელ საქმეს ემსახურები, ყველაფერი ძალიან იოლად გეჩვენება, — გვეუბნება იგი, მასწავლებლობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, მე ბედნიერი ვარ. ჩემთვის შრომა სიამოვნებაა. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო დიდი და საპატიო, ადგმევინებდე პირველ ნაბიჯებს ადამიანებს ცხოვრების გზაზე. აქ შეცდომა არ შეიძლება, საბედისწეროა.

სანამ ანბანის სწავლებას დავიწყებ, ჩვეულებად მაქვს, ბავშვებს აუცილებლად მთაწმინდაზე ავიყვან ხოლმე. ასე მგონია, ამით უფრო ვაგრძნობინებ, რომ მათ ცხოვრებაში დიდი მოვლენა ხდება...

გულნარა მასწავლებელს, რა თქმა უნდა, მუშაობაში ხელს უწყობს თვით მთელი სკოლის ატმოსფერო, საერთო მიზანი, ტექნიკის უახლესი საშუალებებით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, რომლებიც თვალსაჩინოების უხვად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს პედაგოგებს. დიდი გემოვნებით მოწყობილ კონკურსებსა და ღონისძიებებში ვლინდება სწორედ აღსაზრდელთა ნიჭი და მიდრეკილებები.

დიახ! ეს არის ლამაზი და საინტერესო ცხოვრება და რაოდენ სასიამოვნოა, რომ იგი დიდი სიყვარულითაც არის განათებული.

ეთერ მაჭავარიანი

## ახალი წიგნები

დილარ ივარდავა

# ნესტორ კალანდარიშვილი ირკუტსკში

ლომის ფაფარი და
ლომის ნესტო,
ციმბირის ჭირხლს ხერხავს
ჭალებად და ლვედებად...
შენ აქ რა გინდა,
ამ ყიამეთში, ნესტორ,
დადიხარ როგორც დევი და
როგორც ლეგენდა.

ამ ბაიკალში
ასეთ დროს, კაცო,
ყინვას ყელზე უჭერ —
უსამართლობას ებრძვი,
სიყვარულით უყურებ თვალში
უცნობს თუ ნაცნობს,
რომელსაც გაუგონია
თქმულება —
„ოქროს ვერძი“...

შენი გურია და შენი ქვეყანა,
შორსაა აქედან, შორს,
ამ ხალხთან
რა ბედმა შეგყარა?
გითქვამს:
არ დავანიხლინებო
უსამართლობის ტორს.

რას იზამ,
ხანდახან გამოკრთება სევდა —
აგინენავს წვერ-ულვაშის ჯაგნარს—
ციმბირის პაპას...
შუაცეცხლთან
თვალცრემლიან დედას,
ათქმევინებს შენთვის
ბავშვობის ზღაპარს.

რა ძნელია ყველაფერი მაშინ,
ვით უთვლელი რემა —
მათრახების ცემით —
ტკივილით და ფრუტუნით
გამოკრთება თვალში:
ნკაპ, ნკაპ, ნკაპ!
მიყოლებით,
მონატრების ცრემლი.

გენატრება
შენი ლაფარო და ვაზი,
შენი მიწის
მარადმწვანე ნიგნი,
აქ კი გულზე ზამთრის
თეთრი სუსხი გაზის
და მთელი წლის
სამ მეოთხედს გჯიჯგნის.

— ნენა, შვილო,
შენ მოგიკვდეს ნენა! —
მოაქვს ხმები, პურგას —
დაფიქრდები წუთით,
მერე უცებ თვალს ჩანურავ
თოვლის დაფშხვნილ ფენას
და მაგიდას დაასკდება
მუშტის ორი ფუთი:

— სანამა ვარ ცოცხალი,
სიმართლისთვის ვიბრძვი,
სანამ სული მიდგია,
არ დავტოვებ ამ ხალხს,
ახლა სწორედ ჩემთვის
ეს საქმეა ღვიძლი,
თუ გინდ ყინვამ,
თუ გინდ მტერმა
მახრასავით დამხრას.

...და იბრძოდა,
და იბრძოდა
წინაპარი ჩემი.
იგი ახსოვთ ბაიკალში,
აქ, ციმბირში ახსოვთ.
ისევ დამხვდა უძლეველი —
ტანში გაკრთა
სიამაყის დენი,
ეს რამდენი წელიწადი
ანათებს და...
გმირობის ჟინს,
გმირობის ჟინს აქსოვს.

ის იბრძოდა სულ ბოლომდის —
გატყორცნილი სკვითის ისრად,
სანამ ჰქონდა ბრძოლის თავი
და ერჩოდა გონი,
მაგრამ ერთ დღეს
შავი ღრუბლის თალხი
თვალსაწიერს მისას
გადეფარა უცაბედად
და... ჩაჩუმდა ლომიც.

ტყვია ბრმაა,
სულ ერთია მისთვის
ავიცა და კარგიც
და ამიტომ ის ყველაფერს
თავს გიჟივით ახლის, —
სიმართლეს კი
ხალხი არ დაკარგავს, —
გმირის ძეგლი
ეს გულია,
გული — უკვდავ ხალხის.

და შენც, ვიცი, ნესტორ,
სად ჩაფალი
საუკუნოდ სასიკეთო თესლი
და დიდება
შენ შვილივით სად მოგესწრო,
ისევ ითქმის,
შენს დიდ გზაზე,
სიმღერა თუ ლექსი,
ახლა მესმის
აქ იბრძოდი რატომ?
ახლა ვიცი,
ყველაფერი მესმის.
შენს ბედს ხალხი და
დუნია ნატრობს —
წინაპარო,
ხარ უკვდავი ლექსი.

...ვარ მადლობელი,
როგორც ხორბალი,
როგორც ჰაერი,
შენ ყველგან ივლი,
ხარ სასიკეთო დღეთა ბორბალი —
ბრუნავ და...
იფქვება სინაღდის ფქვილი.



# ჟურნალი „დროშა“ — 1983 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალ, 1983 წელს ყოველთვიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალ „დროშას“ 60 წელი უსრულდება. ბუნებრივია, რომ მკითხველებს, ისევე როგორც სარედაქციო კოლეგიას, მთელს ჩვენს კოლექტივს, სურთ კიდევ უფრო საინტერესო, მიმზიდველი, მრავალფეროვანი იხილონ ჟურნალი-იუბილარი.

რედაქციის ყველა მუშაკს ახარებს და შემოქმედებითი მუშაობის მძლავრ სტიმულს აძლევს ის დიდი ყურადღება, რასაც ჟურნალის მიმართ იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო; მადლობის გრძნობით აღვნიშნავთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების დახმარებასა და მხარდაჭერას, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მოღვაწეების აქტიურ მონაწილეობას ჟურნალის საქმიანობაში.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების თაოსნობითა და ხელშეწყობით ხშირად ტარდება შეხვედრები მკითხველებთან, რომლებიც ძვირფას წინადადებებს გვთავაზობენ და ყოველმხრივ ეხმარებიან რედაქციას მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში.

„დროშას“ ჰყავს მუდმივი, ერთგული მეგობრები — ხელმომწერები, რომელთა აზრებსა და სურვილებს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობით. 1982 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ჟურნალს ყველაზე მეტი ხელმომწერი ჰყავდა მახარაძის, თელავის, თერჯოლის, ზუგდიდის, გურჯაანის, გალის, გორის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ყვარლის, ზესტაფონის, ქარელის, ახმეტის, საჩხერის, ქობულეთის რაიონებში, ქალაქებში თბილისში, ზუგდიდსა და ჭიათურაში.

დარწმუნებული ვართ, რომ ჟურნალ „დროშის“ ხელმომწერთა რიცხვი თვალსაჩინოდ გაიზრდება 1983 წლისათვის; დარწმუნებული ვართ, რომ იმ რაიონებიდან და ქალაქებიდანაც, სადაც შედარებით ცოტა გვყავდა ხელმომწერი, სასიამოვნო ცნობებს მივიღებთ.

საგანგებოდ უნდა ითქვას იმ საპატიო და პატრიოტულ მოღვაწეობაზე, რაც აკისრიათ „სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკურ სამმართველოსა და მისი ადგილობრივი განყოფილებების მუშაკებს. ჩვენ შევეცდებით, მომავალში მკითხველებს ფართოდ გავაცნოთ მოწინავე ადამიანები, რომლებიც მთელი მონდომებით, სულითა და გულით ემსახურებიან ამ კეთილშობილურ საქმეს.

ჟურნალის წინაშე დასახულ ახალ ამოცანებთან დაკავშირებით რედაქცია მადლობის გრძნობით მიიღებს თავისი მკითხველების პასუხს რამდენიმე შეკითხვაზე:

1. როგორი უნდა იყოს, თქვენი აზრით, ჟურნალი „დროშა“ მომავალ წელს, რა საინტერესო თემებს შემოგვთავაზებდით?

2. 1982 წლის ნომრებში მოთავსებული მასალებიდან (წერილები, ნარკვევები, რეპორტაჟები, ფოტორეპორტაჟები, ლექსები, მოთხრობები, ილუსტრაციები) რომელმა უფრო მეტად მიიპყრო თქვენი ყურადღება?

3. ხომ ვერ დაგვისახელებდით ისეთ ადამიანებს, რომლებიც ჯერჯერობით უცნობნი არიან ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ თავიანთი შრომითა და ცხოვრებით იმსახურებენ სახალხო აღიარებას?

4. რას უსურვებდით (კონკრეტულად) ჟურნალის სპორტულ განყოფილებას?

ველით თქვენს პასუხებს, ძვირფასო მეგობრებო!

შეგახსენებთ: **ჟურნალ „დროშაზე“ ხელმოწერა შეუზღუდავად მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში.**

ხელმოწერის ფასი მთელი წლით — 4 მანეთი და 20 კაპიკი.

# მშობლიურ სოფელში

პატარაა ჩემი სოფელი. პატარა და კოხტა. იგი რაიონის ცენტრიდან — ჩოხატაურიდან ორიოდე კილომეტრით არის დაშორებული.

ადრეული შემოდგომაა. მაღლარი ვაზი შეთვალულა. ბაღებში ხილი მწიფს. საცაა ჭალისპირა ყანებიც დაოქროვდება.

შორსა ვარ და მაინც თითქოს ნათლად ჩამესმის ყურში სარეკელას ხმაური. თითქოს იმასაც ვხედავ, როგორ სწორდება წელში მეწისქვილე და ომახიანი ხმით როგორ გაიძახის ჩემთვის კარგად ნაცნობ სიტყვებს:

— გოგოლეს უბანში მოწეულ სიმინდს სხვა გემო და მაწივრობა აქვს. ასეა, ძამა, ასე.

გოგოლეს უბანი ჩემი სოფელია. ვიგონებ ბაბუას მონაყოლს. დავიჯერე, რომ ეს არემარე ოდესღაც წყალს დაეფარა. წყალი უსიერმა ტყემ შეცვალა. ტყისპირას ხალხი დასახლდა. ხალხს გამრჯე და ამორძალივით გაუტეხელი ქალი ჩაუდგა სათავეში.

— იმ ქალს რა ერქვა?

— გოგოლე.

— მერე, ბაბუ?

— გოგოლემ თემი აიყოლია. ტყე გაჩეხეს. სახნავ-სათესი შეიმატეს. პირუტყვი გაიჩინეს. კერია დაანთეს. მომრავლდნენ და ჩვენს სოფელს ჩაუყარეს საფუძველი.

— მერე?

— მერე ისა, რო გოგოლეს უბნელებს მხნეობა და შრომის სიყვარული გოგოლესგან მოგვდგამს.

ფიქრებიდან ხმაურმა გამომარკვია.

გავხედე. ფერდობებზე შეფენილ ჩაის პლანტაციებს, ჩალისქუდიანი მკრეფავები შესეოდნენ.

მთელი სოფელი პლანტაციებსა და ყანებში, ზვრებსა და ბაღჩა-ბაღებში გამოშლილიყო სამუშაოდ.

გოგოლეს უბანი და მისი მეზობელი სოფელი შუა განახლება ახლა ერთ კოლმეურნეობაში გახლავთ გაერთიანებული.

არტელს რვაასი წევრი ჰყავს. თითქმის თითოეულ მათგანზე შეიძლება წერა, შთამბეჭდავი წერილისა თუ ნარკვევის შექმნა.

მათი ძალა ერთად ყოფნაშია. მტკიცე, მეგობრულ ოჯახად შედუღაბებული კოლმეურნეობა თავდადებით შრომობს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებაში.

* * *

ნუნუ ანთიძესთან პირველად საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა მავლინა ყაჭეიშვილმა მიირბინა. პირველ მახარობელს მეორე მეჩაიე მოჰყვა, მეორეს — მესამე...

როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამირან სიხარულიძე ნოვატორი მეჩაიეს ნაკვეთში მივიდა, იქ უკვე უამრავ ხალხს მოეყარა თავი.

— შენი გამარჯვება, მთელი კოლმეურნეობის ზეიმია, — მიულოცა ნუნუს ამირან სიხარულიძემ, რომელიც ოცი წელია მეთაურობს მარქსის სახელობის კოლმეურნეობას და თანასოფლელთა დიდი პატივისცემით სარგებლობს.

ასეც იყო: როცა გოგოლეს უბანში შეიტყვეს, რომ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ნუნუ ანთიძე ოქროს მედლით დააჯილდოვეს და საჩუქრად ავტომანქანა „მოსკვიჩი" გამოუგზავნეს, მთელმა სოფელმა გაიხარა.

ნუნუს ნაკვეთში ახლა სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ლიონი ლორია, მექანიზატორები გიორგი დოლიძე და თამაზ სიხარულიძე, რაიონის ექიმი, ამ სოფლელთა საყვარელი ადამიანი — ნათელა ცინცაძე, უბნის აგრონომი ნინო ერიაშვილი მოვიდნენ მისალოცად.

...შუახნის კაცია ბორისი, საშუალო ტანის, ოდნავ წელში მოხრილი. ენაწყლიან მოსაუბრეს კეთილი თვალები და მუდამ მომღიმარი სახე აქვს.

დაინახავენ თანასოფლელები ყანაში მომუშავე ბორის სიხარულიძეს და იწყება კითხვა-პასუხი:

— აქა ხარ, კაცო?

— კი.

— ჩამოვლა?

— ჩამოვლა მოვათავე.

— რავა, ახალი აღარ იქნება, თუ?

— იქნება და საღამოს ჩამოვივლი.

მართალს ამბობს ბორისი. მეხვალიე არ არის და თუ რაიმე ახალი გამოჩნდა, აუცილებლად საღამოსვე ჩამოატარებს.

ასეა ყოველდღე: მიაბიჯებს მხარზე ფოსტალიონის ჩანთაგადაკიდებული ბორისი. სულ ერთია — ქარია თუ ქარაშოტი, ჟუჟუნა წვიმაა თუ თოვლი, თაკარა სიცხეა თუ ყინვა — ყოველთვის მტკიცე და მოზომილი ნაბიჯით დადის.

ჩაივლის ორღობეს ბორისი და შორიდანვე შეეხმიანება აივანზე გადმომდგარ დიასახლისს:

— ქორწილში გეპატიჟებიან.

აათავებს ბექობს და დასძახებს:

— სიხარულიძევ, ბიჭის წერილი მომაქვს!

ჩაათავებს ბექობს, ჩაივაკებს და ახლა გზაზე შემხვედრს მიუღიმილებს:

— შენთან მოვდიოდი. ა, გამომართვი ეს წერილი, ძამია.

გამოხდება ხანი. მოიხელთებენ ბორისს ყანაში და ისევ ატყდება ჟრიამული:

— აქა ხარ, კაცო?

— კი.

— ჩამოვლა?

— თუ ახალი იქნება, საღამოს ჩამოვივლი.

საღამომდე დიდი დროა. კოლმეურნეობაში საყანე ფართობი აქვს გაპიროვნებული ბორისს და დრო უქმად რატომ უნდა დაკარგოს?

არც კარგავს, შარშან მარცვლეულის კარგი მოსავალი მოიწია. წელს კიდევ უფრო უხვი ჭირნახულის მიღებას ვარაუდობს ბორის სიხარულიძე.

...ბაბუა ალექსანდრე ტკბილმოუბარი კაცია. ვიდრე ოთხმოცი წლის გახდებოდა, მხნედ გრძნობდა თავს. თვალიც უჭრიდა, გულიც ერჩოდა და მკლავიც.

ბოლო ხანებში წელის ტკივილი დასჩემდა ბაბუა ალექსანდრეს. ვეღარც ძველებური შემართება მოსდევს, ვეღარც ძველებური ფხა, ვეღარც თვალის ჩინი და საშური მკლავმოუღლელობა.

ერთ დილით ყალიონი გააწყო ბაბუა ალექსანდრემ. წამოდგა. ფეხდინჯად იარა. შეაღო კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტის კარი და საქმეში გართულ ამირან სიხარულიძეს შორიდანვე მიაგება:

— სამუშაო უნდა მომცე!

სამუშაო უნდა მომცეო, სახტად დარჩენილი თავმჯდომარე ფეხზე წამოდგა:

— კი, უქმად ყოფნა აღარ შემიძლია.

ალექსანდრე ჯიბუტი არტელის დაარსების პირველი დღეებიდანვე მუშაობს კოლმეურნეობაში. ლხინიც უნახავს, ჭირშიც მუდამ მხნედ და შემწედ ედგა მხარში თანასოფლელებს.

შინ ახლა რა გააჩერებს. კოლმეურნეობას მუშახელი აკლია. მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნების დასაძლევად ხალხს შეხიდება სჭირდება.

შეეხიდა კიდეც. ალექსანდრე ბაბუამ სახელმწიფოს შარშან 2.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩააბარა. საყანე ნაკვეთიც მიიზომა. გარჯა არ მოაკლო, ეფოფინა და, უამინდობის მიუხედავად, მარცვლეულის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

წელს? წელს საქმე დაგვანახებს.

იმას კი ვიტყვით: ბერმუხას ყოველთვის ღრმა და საიმედო ფესვები აქვს.

...სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ლიონი ლორიას კაბინეტში ხალხმრავლობაა.

დეპუტატები სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საკითხზე მორიგ თათბირს ატარებენ.

მსჯელობენ დინჯად, გააზრებულად, საქმიანად.

სიტყვით გამოსულები ახალ წინადადებებს აყენებენ არსებული რეზერვების ასამოქმედებლად, შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად.

— ჩვენი ლაურეატი რას გვეტყვის? — თავმჯდომარემ კაბინეტს მოავლო თვალი და მზერა ჭალარაშერეულ, სანდომიან ქალზე შეაჩერა.

წამოდგა მავლინა ყაჭეიშვილი, შეისწორა საყელო, თმაზე გადაისვა ხელი.

— ჩვენი კოლმეურნეობის მეჩაიეები დიდ შრომას ვეწევით, ხომ კი?

— კი.

— ჰოდა, რაიონის ჩაის ფაბრიკებმაც უნდა აგვიბან მხარი.

შეჩერდა და განაგრძო:

— ფაბრიკები გადატვირთულია. ახლად მოკრეფილი ჩაი ხშირად რამდენიმე დღე გადაუმუშავებელი ყრია ფაბრიკების ეზოში.

— სწორია.

— გადაუმუშავებელი ჩაი წონაში იკლებს და ხარისხიც ეცემა.

— მე... — მავლინა ისევ შეჩერდა და განაგრძო, — მე, როგორც დეპუტატს, საჭიროდ მიმაჩნია, რომ რაიონში სწრაფად აშენდეს კიდევ ერთი ახალი ჩაის ფაბრიკა.

— მართალს ამბობ.

— პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საკითხიც სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

— ფერმას რომ თავი დავანებოთ, კოლმეურნეებს პირად სარგებლობაში ცხრაასამდე სული მსხვილფეხა პირუტყვი გვყავს.

— ამას ღორების კოლტი და ცხვარიც დაუმატეთ.

ყოველი მხრიდან გაისმოდა შეძახილები. თათბირი გვიანობამდე გაგრძელდა.

როცა დაიშალნენ, უახლოესი ამოცანების გადასაწყვეტად ყველას თავისი კონკრეტული სამოქმედო გეგმა ჰქონდა შემუშავებული.

** იამზე ბასილია,**
„დროშის" სპეციალური კორესპონდენტი.



ირინე ტალიაშვილი

# სიმფონიური შემოდგომა

მოთხრობა

ლიანას ბებია მთელ სოფელში ახალუხების განთქმული მკერავია. ახლა ახალუხს ვიღა იცვამს, ხანდაზმული კაცებიღა თუ ატარებენ, თორემ მან უკვე თავისი დრო მოჭამა. ჰოდა, ლიანას ბებოც იმ ძველი, დროული კაცებისთვის ირჯება. მოაკითხავს ხოლმე ხანდახან რომელიმე სიყმაწვილისდროინდელი ნაცნობ-მეგობარი და ეხვეწება, — შენი ჭირიმე, მარიამ, შენებური, კოხტა ახალუხი შემიკერეო.

არ გააწბილებს ბებია, გაშლის შავი სატინის ნაჭერს, აზომ-დაზომავს, ლიანასაც მოიხმარს, ცარცით თარგს შემოხაზავს, მაკრატელს გააწამწამებს და რომ არ გამოსდიოდეს, მაინც იმედიანად გაამხნევებს:

— ნუ გეშინია, ჩემო ძმაო, ისეთი ახალუხი შეგიკერო, საქორწილო ბიჭს დაგამსგავსო!

იმ კაცს ეს ტკბილი სიტყვა ქვეყანას ურჩევნია. მიდის მერე თავის ტოლებში: ვანუასთან, შაქრიასთან, სოსიასთან, თუ ვინც იქნება და იკვეხნის, — ისეთ ახალუხს მიკერავს მარიამი, ისეთსა, რომ ჩემს ქორწილში არ მცმია ეგეთიო.

ღიმილი ერევათ მოხუცებს. ვის გააკვირვებს? ყველას მარიამის შეკერილი ახალუხი არ აცვია?

— ყოჩაღი ქალია, ყოჩაღი! — დუდუნებენ და თან ხმამაღლა ვერა, მაგრამ გულში მაინც შიშობენ, — ემანდ რომ რაიმე მოუვიდეს, რაღა გვეშველებაო?!

მარტო ეს მოხუცები კი არა, მარიამ ბებოც ასე ფიქრობს, — ჩემი ხელობა თუ ვინმეს არ ვასწავლე, ოსტატიც გაუწყდება სოფელს და ჩამცმელიცაო. გული უკვნესის და ამიტომ არის, რომ შვილიშვილს გვერდიდან არ იშორებს. კერავს და თან უხსნის ახალუხის ჭრა-კერვის საიდუმლოებას.

ლიანასაც უხარია ბებიას შეგირდობა, სულ თვალებში შესციცინებს და დაუზარებლად ეხმარება. ყველაზე მეტად გოგოს საკერავი მანქანა მოსწონს. უფრო მანქანის ხათრით ედება ბებიას ხელებში. იცის ეს ბებიამ, კარგად იცის და ამიტომ არის, რომ წამდაუწუმ იძახის:

— დავბერდი, შვილო, დავბერდი, მოდი, ერთი დამიბზრიალე ეს მანქანა, თორემ მაჯა დამელალა!

ლიანასაც მეტი რა უნდა, ჩაეჭიდება სახელურს და ისე ატრიალებს, მანქანას სულ რიხინ-რიხინი გააქვს.

საკერავი მანქანა ძველებურია, ზედ ისევ ემჩნევა ოქროსფრად დაფერილი გაცრეცილი წარწერა — „ზინგერი“. ბებიას სიამაყეა ეს „ზინგერი“; თვალისჩინივით უფრთხილდება, დაჰკანკალებს და საგულდაგულოდ უვლის, რომ არ დაიჟანგოს, დროდადრო ზეთსაც ასხამს პაწაწინა ნაჩვრეტებში.

ვიდრე კერვას დაიწყებდეს, მკურნალივით წინასწარ ათჯერ მაინც შეამოწმებს ხოლმე, ხომ არაფერი სტკივა, ხომ არ ხრიგინებს, ხომ კარგად მიაქვს მაქოო და მერე დამშვიდებული, კმაყოფილი იწყებს მუშაობას. ლიანა ამ დროს მაგიდას უზის, სახე ხელისგულებზე დაუყრდნია და ჭკვიანი თვალებით შეჰყურებს ბებიას. ბებია სულ ფიქრებშია, ჩუმად მუშაობს, მაგრამ როცა ლიანა გვერდით ჰყავს, რა გააჩერებს? გაიხსენებს ხოლმე ძველსა თუ ახალს და ენადაუღლელად ჰყვება მრავალნაირ ამბავს.

— ჰოდა, შვილო, ვცხოვრობდით ეგრე. მაშინ საკერავი მანქანა ცოტა მოიძებნებოდა სოფელში. ახლა რა არის? ვის რად სჭირდება ეს ბებერი „ზინგერი“. მაშინ კიდევ ვისაც „ზინგერის“ გამოშვებული საკერავი მანქანა ედგა შინ, შეძლებულ კაცად ითვლებოდა. მეც ოცნებად მქონდა გადაქცეული მისი შეძენა, მაგრამ ვინ მომაშავებდა?!

ჩვენს სოფელში ერთი ბერძენი ხელოსანი დაიარებოდა; საკერავი მანქანის ნაწილებს დაატარებდა. შეკეთებაც იცოდა და თუ ვინმეს სჭირდებოდა, იმ ნაწილებს ყიდდა კიდეც. ეს ხელოსანი ახალგაზრდა კაცი იყო. ჩვენ შავტუხა ბიჭებზე გვქონდა თვალი შეჩვეული და მისი თეთრი სახე და ატლასივით ლოყები ძალზე გვიზიდავდა. ისედაც ლამაზი იყო. ნიკაპის გარშემო ქერა, ხუჭუჭა წვერი ეყენა, ულვაშებში კოკორი ვარდივით ულუოდა ტუჩები. თვალები ლილიფარასავით მოღალანე, ცისფერი კი არა, ლურჯზე ლურჯი ჰქონდა. ჩამოივლიდა ხოლმე ორღობეში და ხმამაღლა, დამტვრეული ქართულით გაჰყვიროდა, — ზინგერ, ზინგერ გავაკეთოო. გავიგონებდით მის ხმას და გავცვივდებოდით გოგოები თავპირისმტვრევით. ნამდვილი სახელი ნიკოლა ერქვა, მაგრამ ზინგერი ჩამოსულაო, ასე ვეხმიანებოდით ერთმანეთს. დაგვინახავდა ისიც და თვალები სევდიანი ღიმილით აუჟუჟუნდებოდა ხოლმე. ისეთი სათნო და თან ნატანჯი კაცის გამოხედვა ჰქონდა, ქრისტეს გამოცხადება გეგონებოდა.

„ზინგერის“ სადგომი წყაროსთავზე გადმომდგარი ვეებერთელა კაკლის ჩერო იყო. გაშლიდა ხამის გრძელ ნაჭერს, ამოალაგებდა საკერავი მანქანის ნაწილებს და მუშტარს ელოდა. გასაყიდად ნიკოლას ათასგვარი საოჯახო წვრილმანი და ფირფიტებიც ჩამოჰქონდა. პატეფონი მაშინ სოფელში დიდ ფუფუნებად ითვლებოდა; უკვე ვიცოდით მისი გემო. ერთი, აგერ ქანქარაანთ ექიმ ანტონას ჰქონდა და ერთიც პაპიდაშენ ანეტას. მე და ანეტა განუყრელი დაქალები ვიყავით, უერთმანეთოდ პურს არა ვჭამდით. ნიკოლა რომ ჩამოივლიდა, ჩავკიდებდით ხელიხელს და გულისხეთქვით მივრბოდით ფირფიტების სანახავად. იმდენი ფული სად გვქონდა, ახალ-ახალი გვეყიდა. ამიტომ ავიღებდით ხოლმე პატეფონს და ჩავარბენინებდით ნიკოლასთან.

თავიდან დიდად არ ეხალისებოდა, ერთი ორჯერ მოსმენაში ლობიო და ხორბალიც გამოგვართვა, მაგრამ მერე უკვე ისედაც გვთანხმდებოდა. აქამდე ხომ იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე სოფელში და მერე და მერე არ, უმატა სიარულს? ხანდახან კვირაში ორჯერ ამოდიოდა. ვამჩნევდი, ჩვენს გამოჩენაზე ელეთმელეთი მოსდიოდა და უცნაურად იქცეოდა. „ვაიმე, — ვფიქრობდი გუნებაში, — ეს უცხო კაცი რაღაც ცუდი სიკეთით გვწყალობს. უნდა მოვერიდოთ მეთქი“. ანეტასაც გავუმხილე ჩემი შიში, მაგრამ იმას სასაცილოდაც არ ეყო.

ერთხელაც ჩამოვიდა ეს ხელოსანი. ამჯერად გავთამამდით და შინ შევიპატიჟეთ. წამოვიდა აბორძიკებული. გავუშალეთ სუფრა, დავულაგეთ პური, ღვინო, მწვანილი, არც ჭამს, არც სვამს, ლუკმა ყელში არ გადასდის. მერე წამოდგა, ჩანთიდან ახალთახალი, ვეებერთელა ფირფიტა ამოიღო და ღიმილით ამბობს:

— სიმფონო, ანეტ, სიმფონო!

ვერ გავიგეთ, რას ამბობდა. ის კიდევ იქნევდა ხელებს, ფირფიტას გვაწონებდა.

— ჯანდაბას შენი თავი, — გაჯავრდა პაპიდაშენი, — დადე ერთი, რა არის ეგ სიმფონო!

მაშინ სოფელში ვინ რა ვიცოდით სიმფონიური კონცერტისა!

დაატრიალა ნიკოლამ სახელური და გაისმა უცხო ხმა — საყვირები წკმუტუნებენ, ტირიან, ვიღაცას თითქოს ასაფლავებენ, კუბოს სახურავს აჭედებენ... თმა ხან ყალყზე გვიდგება, ხან გვეტირება, გული გვიჩქროლდება, ლამის გაგვისკდეს. შევყურებთ ამ კაცს და ისიც თითქოს ტირის, მელნისფერ თვალებში ცრემლი ულაპლაპებს. მიწიერი არაფერი სცხია — სურათში ნანახ ვიღაც დიდებულს ჰგავს.

— სიმფონო, სიმფონო! — საცოდავად იღიმება.

ჩვენ ვერაფერი გავუგეთ — ისევ დუდუკები, იეთიმ გურჯის ბაიათები გვერჩია, მაგრამ აიღო ანეტამ ფირფიტა და მომყიდეო, ჩააცივდა. იუარა კაცმა, ხელები ასავსავა, მაგრამ ანეტამ იმდენი ეხვეწა, ნიკოლამ საჩუქრად დაუთმო.

წავიდა ეს კაცი, გავაცილეთ თუ არა, ჩაიკრა ანეტამ გულში ის „სიმფო-კონცერტი“ და აქვს ასე ჩახუტებული.

— რა მოგივიდა, რა გაოგნებული ხარ?!

— ვეკითხები.

— ცუდი სიზმარი ვნახე წუხელ! — მომიგო.

— მაინც რა ნახე?

— რა და, ჩემი თავის ქალა მეჭირა ხელში, შუბლზე ბედი მეწერა!..

შემეშინდა, მაგრამ ვცდილობ, იხტიბარი არ გავიტეხო.

— მაინც რა გეწერა ეგეთი?

— რა და, „გადამხდა გადასავალი, სხვა უარესსა მოველიო“.

— ნეტაი შენ! — ცალყბად ვანუგეშე. მაგრამ მაინც ხასიათი წამიხდა. იმ დღიდან ვუკვირდები და ვგრძნობ, რომ ანეტას რაღაც აწუხებს, სულ თავ-პირი ჩამოსტირის, სევდის ჭია ჭამს. შეუძლებელია, ბოლომა ბოლომდე ვინმეს დაემალოს. ანეტა ერთხელაც გამომიტყდა. რა ვქნა, ასე და ასეა ჩემი საქმეო, ცრემლად იღვრება, თურმე ნიკოლა არ შეჰყვარებია?!

უეცრად ბებია თხრობას წყვეტს და სათვალის ქვემოდან ეშმაკური ღიმილით დასცქერის შვილიშვილს. პატარა გოგოს შეშინებულივით უფართოვდება თვალები, წარმოდგენით დამძიმებული გონება თავისებურად ცდილობს სიყვარულის საიდუმლოებაში გარკვევას და ზღაპრებიდან გამოყოლილი განცდებითა და მღელვარებით ალამაზებს ცხოვრებაში მომხდარ სულ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი.

— როგორ შეუყვარდა, ბებო, ყამარ ქალი და ამირანივით? — ეკითხება შეშფოთებული ლიანა და ცდილობს, პაპიდა ჯაჭვით ჩამოკიდებულ კოშკში გამოკეტილ მზეთუნახავად წარმოსახოს.

— უფრო მეტად, შვილო!

— როგორც „აბესალომ და ეთერში“ და „ედემის ყვავილშია“? — ახსენდება ლიანას საყვარელი ზღაპრები.

— უფრო მეტად, შვილო! — აზვიადებს ბებია და მოყოლას განაგრძობს, — ჰოდა, ზის მთელი დღე ანეტა წყაროსთავზე, უდგას კოკა მილის ქვეშ და თავისთვის ღიღინებს: „იტირე სულო, იტირე გულო, იტირე სულო, იტირე გულო“... მაგრამ ეგ რა არის?! თურმე ნიკოლასაც გულში არ ჩავარდნია? იმ კვირაში სამჯერ მაინც ჩამობრძანდა. დაინახავს ქალსა და მაშინვე სიმფონ, ანეტო, სიმფონ, ანეტო, — მკერდზე ხელს ირტყამს. მერე სხედან ერთად და უკრავენ ამ „სიმფონოს“.

მათი ამბავი მშობლების ყურამდე მივიდა. ანეტას მამა გადაირია, იმ მათხოვარს შენ თავს როგორ გავატანო. შენ არ გაატან და მე თვითონ გავყვებიო, დაიჟინა პაპიდაშენმა. ერთ მშვენიერ დღეს დაჰკრა ფეხი და ნიკოლასთან ერთად გაიპარა. იჩხუბეს, იდავიდარაბეს მშობლებმა, მაგრამ რაღა ეშველებოდათ? იცოდნენ თავიანთი ქალიშვილის ურყევი ხასიათი. ბოლოსდაბოლოს შეურიგდნენ, ისინიც დაბრუნდნენ უკან, მორცხვად მიიღეს მშობლების კურთხევა და დაიწყეს ერთად ცხოვრება.

მარიამ ბებო ისე ამთავრებს მოყოლას, რომ ბოლოში „ჭირი იქა, ლხინი აქა“ აკლია, მაგრამ პატარა გოგომ კარგად იცის მისი ეშმაკობა. ბებიას ასე სჩვევია, მონაყოლს უსათუოდ კუდი უნდა მოაწყვიტოს, ხვალისთვის უნდა შემოინახოს რაღაც, მაგრამ იქამდე გაძლება არ გინდა?!

ამიტომ არის, რომ უკვე ხვეწნაზე გადადის ლიანა:

— მერე, ბებო, მერე?!

— მერე, რა, შვილო? — ოხრავს რატომღაც უცებ მოქუფრული ბებია, — მერე მე და პაპაშენიც დავქორწინდით. ეს საკერავი მანქანაც მაშინ მოგვართვეს საჩუქრად ანეტამ და ნიკოლამ. მერე კერვა ვისწავლე. პირველი ახალუხი პაპაშენს შევუკერე.

— მერე, ბებო, მერე?

—მერე, შვილო, ცუდი დრო დადგა, შუბლი ეღარება დამწუხრებულ ბებიას და თითებში ნემსი უკანკალებს, — მერე ომი დაიწყო. ფრონტზე ერთად წავიდნენ პაპა და ნიკოლა. პაპაშენისგან მხოლოდ ერთადერთი წერილი მივიღეთ, მერე ალარაფერი გაგვიგია — უგზოუკვლოდ დაიკარგა. ნიკოლა კიდევ ორმოცდასამში დაიღუპა. ადგა პაპიდაშენი და თვითონაც სიკვდილთან შესაყრელად გასწია. ბევრი ივაგლახა, ბოლოს დაიჭრა. ნახევარი ქალი დაბრუნდა შინ — ცალი ფეხი და ხელი ყუმბარას წაეწყვიტა. საცოდავი სულ გამოიფიტა. დაჯდებოდა ხოლმე აივანზე და მთელი დღე მხოლოდ იმ ერთადერთ ფირფიტას უსმენდა. მერე ომიც დამთავრდა, დაბრუნდნენ ჯარისკაცები, ცხოვრება აეწყო. პაპიდაშენის გულმა ვეღარ გაუძლო. ერთ დილით ძლივს მივუსწარი მომაკვდავს.

— ნიკოლას საყვარელი ფირფიტა თან ჩამატანე და საკერავ მანქანას გაუფრთხილდიო, — დამიბარა და სულიც დალია.

შემოდგომა იდგა მაშინ სოფელში. ციოდა და რომ ვასაფლავებდით ჟინჟღლავდა კიდეც, გაბმით, თანაბრად ცრიდა, თითქოს სიმფონიურად — „იტირე სულო, იტირე გულოო“.

საკერავზე წკაპაწკუპით ეცემა მწუხარების ცრემლი და პატარა გოგოსაც ნაღველი ერევა. ვერაფერს ეუბნება მოხუცს სანუგეშოს. ჯობდა, სულაც არ მოეყოლებინა, არ შეეწუხებინა ბებია ძველი ჭრილობის გახსენებით, მაგრამ ახლა რაღა იქნება?!

ალერსიანად ეხუტება მოხუცს მკერდზე და პატარა თითებით ისე ეფერება საკერავი მანქანის ცივ, გლუვ ზედაპირს, თითქოს სულიერი არსება ყოფილიყოს. აუცილებლად, აუცილებლად უნდა ისწავლოს კერვა, თორემ უსაქმობისგან მანქანა დაიჟანგება და მაშინ ვიღას შეუკერავს პირველ ახალუხს?!

პატარა გოგოს მღელვარებით უცემს გული და ნატვრით უშტერდება თვალი.

უკვე ბინდდება. გულდამძიმებული მზე დამნაშავესავით მიიპარება პირამიდასავით აზიდული მთის მიღმა და ნელა იმქრალებს ბრწყინვალებას. ჩუმად შრიალებენ ფოთლები, თუმცა, კი არ შრიალებენ, თრთიან, ტოკავენ, შეწყობილად, ერთხმად, სწორედ ისე, როგორც მწუხრის ჟამს იცის ხოლმე.

ოთახში კი საკერავ მანქანას გააქვს ბზრიალი და მწყობრად მიჰყვება გვირისტი გვირისტს — სოფელში ჯერ კიდევ იკერება ახალუხები.



## როპერტ სტურუა—

## სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ყველა უსაზღვროდ გაახარა ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩვენს სახელოვან რეჟისორს, სსრ კავშირის სახელმწიფო და მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატს, რუსთაველის თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს რობერტ სტურუას საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

ეს საყოველთაო აღიარება მარტო რობერტ სტურუას გამარჯვება როდია, მასში შერწყმულია ის დიდი ტრადიციები, რომლებზედაც აღიზარდა იგი, მის პედაგოგ-მასწავლებელთა და საერთოდ, ქართული თეატრის იმ სკოლის გამარჯვებაა, რომელმაც გზა დაულოცა ხელოვანს ფართო შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, ეს არის ყველა მისი თანამოღვაწის, თეატრის მთელი კოლექტივის აღიარება და გამარჯვება.

გულითადად ვულოცავთ რობერტ სტურუას ამ მაღალ ჯილდოს, ვუსურვებთ კვლავ დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

# გომარეთელები

**შალვა გულუა**

წვიმიან ამინდში სათიბ მანქანას მუშაობა გაუჭირდა, მაგრამ გიორგი გოცირიძე იხტიბარს არ იტეხდა. გამოცდილი მექანიზატორი მოხვავებულ ბალახს შეუსვენებლად თიბავდა, სასილოსედ ჭრიდა და ავტომანქანის ძარაში ყრიდა.

დრო საშური იყო: ჭირვეულმა ამინდებმა პირუტყვის საკვების დამზადება შეაფერხა. დმანისის რაიონის გომარეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებს ისღა დარჩენოდათ, რომ ამ თავსხმაშიც ემუშავათ და თიბვა შემჭიდროვებულ ვადაში დაემთავრებინათ.

თენდებოდა, როცა ახალგაზრდული მექანიზებული რგოლის წევრი გიორგი გოცირიძე საბჭოთა მეურნეობის ავტოპარკში მივიდა. გიორგიმ კუთხეში ჩამომდგარი ძველი სათიბი მანქანა მოძებნა, კარგა ხანი უკირკიტა, გამართა და თრიალეთის კალთებთან დაცემული სათიბისკენ დაძრა.

მეურნეობის მძღოლს გიორგი გოცირიძეს, რომელიც ახლა შეკეთებულ სათიბ მანქანაზე იჯდა და მუშაობდა, რგოლის წევრები წამოადგნენ თავზე. მალე სატვირთო ავტომანქანებიც მოგრუხუნდნენ. ბიჭებმა სამუშაო დაინაწილეს, ქარ-წვიმაში სახელოები დაიკაპიწეს და საქმეს შეეჭიდნენ.

ბინდდებოდა, როცა ყველაფერი მოათავეს: ბალახი გათიბეს, სასენაჟე ორმო მწვანე მასით ამოავსეს, დატკეპნეს, ცელოფანი გადააფარეს და პირუტყვის ყუათიანი საკვები საიმედოდ დააბინავეს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, როცა ახალგაზრდული მექანიზებული რგოლის ჩამოყალიბების წინადადება წამოაყენეს, ამ თაოსნობას მაშინვე დაუჭირა მხარი გიორგი გოცირიძემ.

კომუნისტმა მექანიზატორმა კარგად იცოდა, რომ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელება თავდადებულ შრომასთან ერთად ახლის ძიებასაც მოითხოვდა. საჭირო იყო რეზერვების გამოძებნა, მათი სრული ამოქმედება, შრომის უფრო სწორი, გეგმაზომიერი ორგანიზება.

გასაკეთებელი ბევრია. სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის მეურნეობის მუშაკებმა წელს 1.800 ტონა სილოსი უნდა ჩადონ, 1.600 ტონა სენაჟი დაამზადონ, 1.054 ტონა ნამჯა დაწნეხონ, 1.961 ტონა თივა შემოზიდონ სათიბებიდან.

სხვანაირად არც შეიძლება: გომარეთის საბჭოთა მეურნეობაში ახლა 21.000 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ჰყავთ, 2.700 სული ცხვარი, ღორების დიდ კოლტსაც ასუქებენ.

გიორგი გოცირიძე ამას წინათ მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრად აირჩიეს. დრო ცოტა აქვს, მაგრამ მაინც ახერხებს, ფხიზელი თვალი მიადევნოს საქმეს.

მრავალი წამოწყების თაოსანი, ყველა სასარგებლო აზრის მხარდამჭერი, კომუნისტი გიორგი გოცირიძე მაგალითის მიმცემია. ამას წინათ მეურნეობაში საწვავ-საცხის დაზოგვისათვის გიორგი გოცირიძემ 130 მანეთი წამახალისებელი პრემია დაიმსახურა.

— გიორგი გოცირიძე ერთადერთი როდია, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა გიორგი ბერუაშვილმა, — სასურსათო პროგრამისა და მშრომელთა წინაშე დასახული ყველა სხვა დიდი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად მთელი ჩვენი მრავალრიცხოვანი კოლექტივიც იბრძვის.

სწორედ რომ ასეა! ახლად ფეხადგმულ საბჭოთა მეურნეობას შარშან გეგმით 10.000 მანეთი მოგება უნდა მიეღო, მოგებამ კი 56.000 მანეთი შეადგინა. წელს ხორცის ჩაბარების რვა თვის გეგმა წარმატებით შესრულდა, კიდევ უფრო კარგ მაჩვენებლებს ელიან წლის ბოლოს.

ყოველივე ეს, ცხადია, სწორედ კომუნისტების გიორგი გოცირიძის, ალექსი მახნიაშვილის, აბელ ხიზანიშვილის, სერგო ბერუაშვილის, ვალერიან ქრისტესიაშვილის, კომკავშირელი ირაკლი ჭელიძის, მირიან თეთრაძის, გიორგი აბუაშვილის და სხვათა თავდადებული შრომის შედეგია.

გომარეთელ მეცხოველეებსა და მიწათმოქმედებს ნათელი მიზანი აქვთ: თავიანთი წვლილი შეიტანონ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, წარმატებით გადაჭრან XI ხუთწლედით დასახული ამოცანები.

აი, სწორედ ამ ნათელი მიზნის განხორციელებისათვის იბრძვიან ახლა თრიალეთის წარმტაცი ქედის კალთებზე შეფენილი სოფლის მშრომელები.

**თენგიზ გოგოლაძე**

# კეთილი შემოქმედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედის ცხოვრებაში ზოგჯერ არის ისეთი მძიმე წუთები, როცა სიტყვა ეურჩება, მასალა არ ნებდება, ქვაზე საჭრეთელი უჩლუნგდება... მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვანი ებრძვის, ეძიებს და ზოგჯერ საყვარელ საქმეს თავსაც სწირავს.

შარშანდელი ზაფხულის სიცხე მტრად გაუხდა ირაკლი ყანდაშვილს. მოქანდაკე სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში სკულპტურულ კომპლექსზე მუშაობდა. მთელი დღე დაძაბულად შრომობდა, საღამოს ნაჯაფარი კაცი იმედიანად შეავლებდა თვალს ნამუშევარს, დილით დახედავდა და წინა დღის ნაოფლარი წყალში იყო გადაყრილი — პაპანაქება სიცხე ბეტონს სწრაფად აშრობდა და ხეთქავდა... ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი... ისევ და ისევ... და ბოლოს კომპლექსმა თავისი დასრულებული სახე მიიღო, მაგრამ დაძაბულმა შრომამ, ნერვიულობამ და აუტანელმა სიცხემ კაცი ლამის იმსხვერპლა...

აი რა იცის საქმის სიყვარულმა, საქმისა, რომელსაც აგერ უკვე 35 წელია ემსახურება საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე ირაკლი ყანდაშვილი. ეს საპატიო წოდება მან თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით მოიპოვა.

სიკეთე ხელოვანისათვის ისეთივე აუცილებელი ფენომენია, როგორც ნიჭი. როცა ჭეშმარიტ ხელოვანზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს მისი ხალხისათვის გაწეული ამაგი, ის სიკეთე, რაც მან თავის სამშობლოს დასდო.

ირაკლი ყანდაშვილი ასეთი სიკეთით სავსე ნიჭიერ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის. მისი შემოქმედების მთავარი თემაა თანამედროვე ცხოვრება, მშრომელი ადამიანი. მოქანდაკის კერამიკული, სკულპტურული თუ ჭედური ნაწარმოებები გამოირჩევა ორიგინალური ხელწერით, მონუმენტურობით, მოცულობითი ფორმების ჰარმონიულობითა და სისადავით.

დაუღალავი ძიებითა და შრომით პირველთაგანმა შექმნა გრანდიოზული კერამიკულ-სკულპტურული დეკორატიული ლარნაკები. მისი ყოველი ნამუშევარი დახვეწილი, ლაკონიური და დინამიურია. რეალისტურად ასახავს შრომის პროცესებს, სოფლის ცხოვრების სურათებს, სამამულო ომის ეპიზოდებს, სპორტულ ასპარეზობებს.

ირაკლი ყანდაშვილს ბევრი საინტერესო ნამუშევარი აქვს: ქანდაკებები, სკულპტურული პორტრეტები, ჭედური კომპოზიციები, კერამიკული პანოები, დეკორატიული ლარნაკები. ავტორს ამ ნამუშევრებში ოსტატურად გამოუყენებია და ჩაუქსოვია ხალხური შემოქმედების ელემენტები, ეს კი გარკვეული ეროვნული ფერადოვნებითა და სილამაზით ამდიდრებს ნაწარმოებებს.

ირაკლი ყანდაშვილი გამუდმებულ ძიებაშია. გარდა იმისა, რომ იგი თავისი საქმის ჩინებული ოსტატია, კარგი პედაგოგიცაა — მოზარდებს აცნობს და უხსნის სახვითი ხელოვნების საიდუმლოს, ასწავლის ქანდაკების შექმნის საინტერესო „ანბანს“. ვინ იცის, რამდენი მისი ნიჭიერი მოწაფე დასდგომია ხელოვნების რთულსა და ნათელ გზას, რამდენს გაჰყოლია ამ კეთილი და მოამაგე მასწავლებლის შეგონებანი. ცხოვრების გზის არჩევანი ძალზე რთულია, მაგრამ ირაკლი ყანდაშვილმა თავისი გამოცდილებითა და პედაგოგიური ალღოთი იცის, ვინ რომელ გზაზე დააყენოს — ვინ ქანდაკებაში იმარჯვებს, ვინ ფერწერასა და გრაფიკაში... ვინ კიდევ... რას ვიზამთ, დიდ ხელოვნებას მარტო სურვილი არ ყოფნის, დიდ ხელოვნებას დიდი ნიჭი და დაუღალავი შრომა სჭირდება. და ამ ნიჭის, ჯერ კიდევ მოუმწიფებლის, იქნებ სხვათათვის შეუმჩნევლის, აღმოჩენა და განვითარება პედაგოგის უპირველესი ვალია. სწორედ ეს უნარი შესწევს ირაკლი ყანდაშვილს.

ხელოვანს 60 წელი შეუსრულდა. ხან გულმა შემოუტია, ხან სხვა ავადმყოფობამაც დარია ხელი... დროდადრო თვალთაგან დაგვეკარგებოდა... ავადმყოფობასაც ჩუმად ებრძოდა, ეს მუდამ ჩუმი, მუდამ მოფუსფუსე და მოამაგე კაცი... იგი თავისი სატკივრითა და გასაჭირით როდი ამყარებს ურთიერთობას ადამიანებთან, მას ადამიანებთან ურთიერთობის ყველაზე ძვირფასი ფორმა — შემოქმედებითი სიხარულის გაზიარება აქვს. და ვუსურვებდი, ნუ მოშლოდეს მას ეს სიხარული, მისდა და ჩვენდა სასიკეთოდ!



ქალი შველით (ჭედურობა)


ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლებული აჭარა

# ირაკლი ყანდაშვილი

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი.



სიმღერა სიყვარულზე (ჭედურობა)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმაკაცის სახელოსნო

აღდგომა დღეს

მარნის კუთხეში

ნაცნობის ოჯახი

ფიროსმანის ბინა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



**გიორგი ჩირინაშვილი**







ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუნების საოცრებანი

გაცოცხლებული ლოდები

არნოლდ გეგეჭკორის ფოტო









სერგო სილაგაძე

# სილაგაძეთა დიდი ოჯახი

სერგო სილაგაძე პატარა იყო, როცა დედა გარდაეცვალა. მამამისმა ამბროსიმ მთელი ენერგია ერთადერთი შვილის აღზრდას შეალია. სერგო მამასავით შრომისმოყვარე, მართალი და კეთილსინდისიერი ვაჟკაცი გაიზარდა.

ცაგერის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჯერ სოფელ ლუხვანოს დაწყებით სკოლაში მუშაობდა პედაგოგად, შემდეგ ცაგერის რაიაღმასკომის განათლების განყოფილების ინსპექტორად დანიშნაურეს.

მუშაობამ ხელი როდი შეუშალა სწავლაში. სერგომ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა მუშაობა დაიწყო ცაგერის რაიაღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ და სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონულ ინსპექტორად. აღნიშნულ თანამდებობაზე იგი 1941 წლამდე მუშაობდა.

დიდი სამამულო ომის წლებში სერგო სილაგაძე ჯერ პარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანია, მერე რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მისი ღვაწლი. თავდადებული შრომისათვის 1950 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

გამოცდილი მუშაკი 1949-1970 წლებში საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილედ მუშაობდა, მომდევნო წლებში, პენსიაზე გასვლამდე — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს კადრების განყოფილების გამგედ.

1971 წელს სერგო სილაგაძეს საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსია დაენიშნა.

სერგომ და მისმა მეუღლემ დომნა ჭაბუკიანმა ექვსი შვილი აღუზარდეს საქართველოს — ელეონორა, ლამარა, კარლო, გივი, ლია, დემური.

სამმა ქალიშვილმა სილაგაძეთა ოჯახს სამი სიძე შესძინა — დიდიმ სვანიძე (ცაგერის რაიონის სოფელ ცხუკუშერის საშუალო სკოლის დირექტორი), გიორგი ოვანიშვილი, („საქსოფლტექნიკის" საპროექტო ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი), დუგლას გეგენავა (ბავშვთა საავადმყოფოს ექიმი). ვაჟებმაც იქორწინეს და ჭერ-ფუძეს სამი პატარძალი შემატეს — ფიზიკოსი ლამარა ობოლაძე, მათემატიკოსი ქეთევან კიკვაძე და ქიმიკოსი ჯულიეტა ელისაშვილი.

75 წელს მიტანებულ სერგო სილაგაძეს ახლა 11 შვილიშვილი ჰყავს. შვილიშვილთაგან უფროსებმა — და-ძმა ზურაბმა და თამილამ საშუალო სკოლა ოქროს მედლებით დაამთავრეს. ზურაბმა თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი წარჩინებით დაასრულა და სწავლა ასპირანტურაში განაგრძო. თამილა სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის ფრიადოსანი სტუდენტია. ბაბუა სერგოს დანარჩენი ცხრა შვილიშვილი სკოლაში დადის. ისინიც კარგად სწავლობენ.

შრომის სიყვარული, ალალმართლობა, პრინციპულობა და სიკეთე მამა-პაპიდან დაებედათ სილაგაძეთა ნაშიერთ.

ელეონორა ცაგერის რაიონის სოფელ ცხუკუშერის საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. იგი ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს დეპუტატი გახლავთ. არჩეულია სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარედ; არის პარტიული განათლების პროპაგანდისტი და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი.

მომდევნო ქალიშვილი ლამარა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის განყოფილების გამგის მოადგილე და პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს კოლეგიის წევრია, არჩეულია რესპუბლიკის პროფსაბჭოს წევრობის კანდიდატად, არის ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური კომისიის წევრი.

კარლო ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინალური სამმართველოს ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია.

გივი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის განყოფილების გამგეა. ამ რამდენიმე ხნის წინ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია.

ლია იაკობ გოგებაშვილის სასწავლებელში მიკრობიოლოგიასა და ანატომია-ფიზიოლოგია-ჰიგიენას ასწავლის.

დემური რესპუბლიკის დამზადების სამინისტროში ხარისხის სახელმწიფო ინსპექტორია.

75 წლის ბერმუხამ ნახევარ საუკუნეზე მეტი პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოს მოახმარა. ამ ხნის მანძილზე იგი ყოველთვის გრძნობდა იმ სიყვარულსა და პატივისცემას, რომლითაც ადამიანები მის მიმართ იყვნენ განმსჭვალულნი.

„მე მინდა, ჩემი შვილები, რძლები, სიძეები, შვილიშვილები მუდამ იმსახურებდნენ ხალხის სიყვარულს და პატივისცემას. დაე, ამრავლონ აკვნები, აღზარდონ ღირსეული მამულიშვილები, გაუფრთხილდნენ ოჯახს — ერის ბურჯს".

ეს სიტყვები ქვეყნისა და ოჯახის მიმართ ვალმოხდილ კაცს — სერგო სილაგაძეს ეკუთვნის.

სილაგაძეთა დიდი ოჯახი სწორედ ამ სიტყვების განაწესით მოქმედებს და ცხოვრობს.

**ალექსანდრა სვანიძე-ხარძიანი.**



## „ერთი დღე და მთელი ცხოვრება"

ახალი ფერადი ორსერიანი მხატვრული ფილმი, რომელსაც იღებს ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმი".

რეჟისორი — **ლანა ღოღობერიძე.**

ოპერატორი — **ნუგზარ ერქომაიშვილი.**





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზური ლირიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიტერატურა საიმედო ხიდია ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის, მათი სულიერი დაახლოებისა და დანათესავებისათვის. ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრი რამ კეთდება აფხაზური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემისათვის.

ჟურნალ „დროშის" დავალებით პოეტმა ჯანო ჯანელიძემ თარგმნა აფხაზური პოეზიის უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობის წარმომადგენელთა ლექსები, რომლებსაც მკითხველს ვთავაზობთ.

## ივანე თარბა

### მომავალზე ფიქრით

მან ისწავლა მშობლიური ენა
ისე სწრაფად, როგორც ჩიტმა ფრენა,
და ყოველი მშობლიურის სჯერა,
თუმც ყოველი არც კი ესმის ჯერაც.

ესმის მისი ზეცისა და მიწის
და ძარღვებში მღერის აფსნის სისხლი,
და სიმღერა მოცისფერო რიწის
მთათა შორის, როგორც ცრემლი, იწვის.

ნაზი ფრთებით ლამაზ სიზმრებს საზღვრავს
და მთავარი წინ მოელის ისევ,
გამოზარდა სიმღერებმა ნაზმა,
მზის გალობას ყოველ დილით ისმენს.

უყვარს აფსნის მინდორი და მდელო,
ყვავილები და მზრუნველი დედა,
მოღერილი მუდამ სასიმღეროდ
აფხიარცა — სიხარულიც, სევდაც.

სკოლისაკენ მიმავალთ რომ უმზერს,
როგორც ყვავილს ცვრიანს — ხელისგულზე,
ეუფლება იმ დროს ფიქრი ნაზი
და ხვალის გზას გასცქერს ბავშვურ აზრით.

ფიქრობს: მათზე მე ნაკლებად განა
დამმშვენდება ყიჟინა და ზარი?!
და უბეში „დედაენას" მალავს
და ბავშვობაც მიდის, ვით სიზმარი.

და კვლავ ფიქრობს, ფიქრობს სკოლის ზარზე
და შორიდან გასცქერს ეზოს ნაცნობს,
ბოლოს ბავშვურ და უცნაურ აზრებს
ტოვებს და კვლავ ძველებურად ანცობს.

ადრე არის სკოლისაკენ ჯერაც;
ყველა ასაკს აქვს თავისი რიგი,
გნამდეთ, ვისაც გარდასულის სჯერა,
მომავალსაც უერთგულებს იგი!

## გიორგი გუბლია

### მშობელ მიწაზე

ბაგრატ შინკუბას

ნეტავ ხედ გავზრდილიყავ,
მძლავრი, ტოტებბრდღვიალა,
საიდუმლო ბილიკად
მთები გადამეარა.

მშობელ ქარს ჩავხვეოდი,
მე — შობილი ვაჟკაცად,
როგორც შვენის ძველ მოტივს,
მზეზე მეც მეკაშკაშა.

წმინდა წყაროს შხეფებად
მეც მომეკლა წყურვილი,
ვით სინათლის შეხება,
დიბა — ოქროცურვილით.

ვქცეულიყავ ცის სივრცედ,
მეგრძნო ზღვის მოფერება...
ერთხელ მეც ხომ ვიწვიმე
ცრემლად, როგორც გენება.

## კონსტანტინე ლომია

### იმედი

იგი მოელის დღისით თუ ღამით,
იგი მოელის და გული ფეთქავს,
ამ მოლოდინში მიდის და მიდის,
როგორც მდინარე, დინება დღეთა.

დაუმეგობრდა ის მდუმარებას,
მხრებს საუკუნის აწევს სიმძიმე,
ყოველთვის, როცა საღამო დგება,
როცა მდინარე ბინდში იძინებს,

მოხუცს ჩაესმის ჭიშკრის ჭრიალი
და ელანდება შვილი ჭიშკართან,
წყნარად გაისმის სიმღერა ღამის
და აივანზე — ფეხის ხმა ქართა.

ასე ენთება და ასე ქრება
იმედი, როგორც მარტის მზე მკრთალი,
ცისკარი მოდის, საღამო დგება
და ცრემლიანი ციმციმებს თვალი.

და ეშინია, ერთხელ იქნება,
წავა იმედი, წავა მარადის,
ჯერ კი ჟამთასვლა გაშლილი ფრთებით
მდინარესავით მკერდზე გადადის.

## ნიკოლოზ კვიწინია

### თუნდაც ერთი დღით

თუნდაც ერთი დღით, ძნელია განა,
რომ დამიბრუნდეს ჩემი ბავშვობა?!.
რომელიც ასე უცებ და ჩქარა
ვერც შევამჩნიე, გაქრა, დამშორდა.

თუნდაც ერთი დღით, თუნდაც ერთი დღით,
ჟამო წასულო, გთხოვ, მომეახლო,
რომ ჩვეულ კრძალვით, ჩვეული რიდით
ვეწვიო ჩემი ოცნების მაღლობს.

და არას ვიტყვი, არც ჩავთვლი ცოდოდ,
თუ გამაჯავრებს კვიმატი მარტი,
ისევ დაბრუნდეს ბავშვობა ოღონდ,
ოღონდ აღსრულდეს წუთები ნატვრის.

და განმეორდეს ერთხელ ნანახი,
ერთხელ განცდილი, ძლიერ რომ მნამდა,
რომ ისევ ავყვე ბილიკებს მაღლით,
ადრე მრავალჯერ მივლია სადაც.

რომ ძველებურად ისევ გავფონო
კოდორი — ჩემი ყრმობის მდინარე,
წამით დაბრუნდეს ბავშვობა ოღონდ
და სიყმაწვილე, ნუ დაინანებ.

კვლავაც გეწვევი ოცნების აფრით
და გავიხსენებ იმ ძველ ტკივილებს
და მივაშურებ კვლავ გაღმა ნაპირს,
ატმის ყვავილთა ლამაზ ღიმილზე.

და მოვიგონებ ისევ და ისევ,
გადაიშლება მანძილი და დრო,
კვლავაც გავფონავ მე კოდორს ცისფერს,
კოდორს, რომელიც ყრმობაზე დარდობს.

კვლავ შევაბიჯებ მშობლიურ კლასში,
ნაცნობ დაფასთან კვლავაც დავდგები,
იმ ძველ ფორმულებს დავწერ და წავშლი,
და სიყმაწვილეც მოვა ვარდებით.

ოღონდ ერთი დღით, თუნდაც ერთი დღით
ჩემი ბავშვობა კვლავ მომეახლოს,
რომ ჩვეულ კრძალვით, ჩვეული რიდით
ვეწვიო ცისფერ ოცნების მაღლობს.





## პლატონ ბებია

### აკვანსთან

დედა იდგა აკვანთან,
როგორც ოქროს ფრთოსანთან,
ჩვილს ნყვილი ფრთა ფარავდა,
ანგელოზი მოსავდა.

დამღეროდა დედა:
— დაიძინე, გულო,
ზღვასთან როგორ ბედავ,
შენც რომ იდიდგულო?!..

შენც რომ იხმაურო?!..
ნაპირს კოცნის ტალღა,
დაიძინე, სულო,
ოქროს სიზმარს ნახავ.

დაიძინე, ერცახუ
თეთრ ყაბალახს იხვევს,
სიზმრად იღბალს ნახავ,
ნახავ მზეს და მზის ხევს.

გესმის, ნყარო ნკრიალა
ძილს მინებდა ვერძივით?!.
თვლემს ზეცა ნაღვლიანი,
ვინ მოგპარა შენ ძილი?!.

გესმის, გალობს ფრთოსანი,
სმენას ესუმბულება
და ტყე — ტკბილი მგოსანი
ფხიზლობს, ვით ერთგულება.

ქარმა, ასე თამამად
ხეთა რიგს რომ ედება,
აკვანს დაუნანავა
და თავს, როგორც ვედრება,

დაგადგა და სინაზით
იავნანურს გიმღერის,
შვილო, შესვი მზის ნამი,
გაიგრილე მზის ყელი.

დედა იდგა აკვანთან,
როგორც ოქროს ფრთოსანთან,
ჩვილს ნყვილი ფრთა ფარავდა,
ანგელოზი მოსავდა.

## რუშბეი სმირი

### რინა

რა ნმინდა არის შორი ცის ჭვრეტა,
რა თამაშია სხივთა ციალის!..
ნეტავ ვიცოდე, რას ფიქრობს ნეტავ,
რინა მდუმარე და სევდიანი?!..

იმსხვრევა ზეცის მოლურჯო ზარი,
მთებს მოუსხიათ ნაბდად ნისლები,
ეს მე ვარ, მე ვარ მარადი მგზავრი
და მარტოსული სევდით ვივსები.

და გული მტკივა, რომ ასე ცოტა
თქმულა სიმღერა რინის დიდებად
და სული მტკივა, და სული შფოთავს
და ვიცი, მანამ არ დამშვიდდება,

ვიდრე არ ვიტყვი, რაც სათქმელია,
არ ნავიკითხავ მის ლურჯ სტრიქონებს,
ვიცი, გაჩენის დღიდან ელიან,
ვიცი, გაჩენის დღიდან ითხოვენ —

ეს მთები კუთვნილ სათქმელს და სიტყვას,
მათ შორი ჭვრეტის დაჰყვათ უნარი,
რომელიც ბევრჯერ გადიქცა მითად
და მღერის ქარი გაუხუნარი.



## ვლადიმერ ზანთარია

### სიჩუმე

მე მნამს სიჩუმე დაშვებულ აფრის,
დადუმებულით ფრთებით ძლიერით, —
არა საფლავთა და სარკოფაგთა
და არა სახლთა უკაცრიელის.

მე მნამს ჭრილობა, ვით ბედისნერა, —
არა სნეულთა და დავრდომილთა,
არა ნუხილის და არა ცრემლთა,
უთვლელ ღამეთა თევად რომ ითქვა.

ჰოი,სადა ხარ, სიჩუმევ ჩემო,
და დუმს ბუნება და ეს რას ნიშნავს?!.
მეც უკვდავება მსურს დავიჩემო,
დიდი სიჩუმის ფასად რომ იშვა.

ჩემი სიჩუმის, თქვენი სიჩუმის
შორის კედელი დგას ხელთუქმნელი,
და ფრინველივით ფართქალებს გული
და სათქმელს ჩემსას სიმღერით ველი.

ველი, ვით ქვეყნად ჩვილის გაჩენას,
რომ განმიკურნოს ყველა იარა,
და შემდეგ ღმერთმაც რომ შემაჩვენოს,
მნამს, მომიგონებ შენ ნაღვლიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ტაიფ აჯბა

### ბედნიერება

ბედნიერებას კარდაკარ სდიე
და დაყოვნებაც მისი ნუ გიკვირს,
თუკი ღირსი ხარ,
გვიანაც ძლიერ
ბედნიერების დაიდგამ გვირგვინს.

ოღონდ ფეხდაფეხ მისდიე, მიდი,
რომ დაენევი არის უცილო,
არ გქონდეს კრძალვა, არ გქონდეს რიდი,
ჯიქურ თვალებში უნდა უცქირო.

მე მტკიცედ მნამს და მე მტკიცედ მჯერა,
ბედნიერება ხვედრია შენი,
არავითარი შიში და ღელვა,
ბედნიერება შენ ფრთებად გშვენის.

მაგრამ ვაი, რომ მძიმეა იგი
და რა ძნელია, ატარო გზებზე?!
სად ყოველდღიურ ცხოვრების რიგით
ნვრილმანით ცხოვრობ და ნვრილმანს ეძებ.

მე მახსოვს კარგად, მე მახსოვს კარგად,
შენი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი,
ვით მწვანე ქარგა მშვენიერების,
ვით მწვანე ნიგნი მშვენიერების.

ბედნიერებას კვალდაკვალ სდიე
და დაყოვნება მისი ნუ გიკვირს,
თუკი ღირსი ხარ,
გვიანაც ძლიერ
ბედნიერების დაიდგამ გვირგვინს.



# ეროსი მანჯგალაძე



თვრამეტი წლის იყო რადიოში რომ მოვიდა, ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი. მისმა ბუბუნა, იშვიათი სილამაზის ხმამ იმთავითვე ყველა ერთნაირად მოხიბლა. იგი უკონკურსოდ მიიღეს ქართულ გადაცემათა დიქტორად.

თუმცა, როგორც მაყურებელს — ეროსი მანჯგალაძის თამაშით მოხიბლულს, ბევრის თქმა შემიძლია მასზე, როგორც მსახიობზე, გარდასახვის ოსტატზე, მე მაინც მხოლოდ წარმოსახვის ხელოვნებას გავიხსენებ.

ეროსიმ თავიდანვე ყველა გააოცა. მას არ დასჭირვებია დიდი მეცადინეობა, ტექსტის გარჩევა იმ თვალსაზრისით, თუ სად და როგორ გამოიყოს წინადადების მთავარი არსი, სად გაკეთდეს ლოგიკური მახვილი. შეიძლება ითქვას, რომ ტექსტის ერთი თვალის გადავლებითაც, შინაგანი ალღოთი აგნებდა იმ გასაღებს, რომლითაც უნდა მიეწოდებინა მსმენელისათვის ესა თუ ის მასალა — არასდროს ყოფილა, კითხვის დროს თუნდაც უმნიშვნელო ლოგიკური შეცდომა დაეშვას.

* * *

ეროსის დედა, ქალბატონი თამარი, ხერხემლის მძიმე დაზიანების გამო ლოგინს იყო მიჯაჭვული, მაგრამ ტელეფონით ხშირად ვუკავშირდებოდით ერთმანეთს. იგი შვილის წარმატებით სულდგმულობდა.

ეროსი ერთხელ სამსახურში არ მოვიდა. ეს იყო ომის დამთავრების პირველი წელი. დაწესებულებებში შრომის დისციპლინას უდიდესი ყურადღება ექცეოდა და, რა თქმა უნდა, მას სასჯელი მოელოდა. იმ დროს რადიოკომიტეტის თავმჯდომარე იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინორეჟისორი ლეო ესაკია.

საშინლად ვღელავდით, ქალბატონი თამარი გამუდმებით რეკავდა. აი მოვიდა კიდეც ეროსი, დარცხვენილი, თავჩაქინდრული; რა თქმა უნდა, არ იცოდა, რით ემართლებინა თავი. მაშინ რადიოკომიტეტის პარტბიუროს მდივანი იყო ჩვენი სახელოვანი ჟურნალისტი ელენე სტურუა. ვიცოდი მისი გულისხმიერება, მივვარდი და დავუწყე თხოვნა, ეროსისათვის ეშველა. ლენა ძალიან შეწუხდა და მირჩია, მე თვითონ მივსულიყავი ლეო ესაკიასთან. გავბედე და მივედი. ავუხსენი მდგომარეობა, პატივცემულმა ლეომ მომისმინა, მაშინვე დაიბარა ეროსი. მამაშვილურად ესაუბრა, აპატია და იმ დღიდან მისი მეურვეობა იკისრა. სწორედ ლეომ დააწყებინა ეროსის ფეხბურთის მატჩების კომენტატორობა.

ეროსი მოსკოვიდან გადმოსცემდა ფეხბურთის რეპორტაჟს. თამაშის პირველი ნახევარი რომ დამთავრდა, იგი ტელეფონით დაუკავშირდა ლეოს და ჰკითხა, თუ როგორი იყო მისი აზრი რეპორტაჟის მსვლელობაზე. პატივცემულმა ლეომ უთხრა: „კარგია, მაგრამ სულ ჩვენებზე ნუ ლაპარაკობ, უფრო ობიექტური იყავი, მოწინააღმდეგეზეც ილაპარაკე".

დაიწყო თამაშის მეორე ნახევარი, ჩვენებმა ტემპი შეანელეს. ჩანდა მოწინააღმდეგის უპირატესობა და ეროსიმაც დაიწყო მათი ქება. „კარგია, კარგია!" — გაიძახოდა იგი. თავმჯდომარე მიმღებთან იდგა და ნერვიულად ამბობდა: „ესაა, ბიჭო, კარგი, ესაა კარგი?!" ალბათ, ნანობდა კიდეც, მისმა მითითებამ ასეთი სახე რომ მიიღო.

1946 წლის 7 მაისს რადიოს დღესთან დაკავშირებით ლეო ესაკიას რედაქტორობით გამოვიდა პირველი ნაბეჭდი გაზეთი „რადიო", ეს იყო სპეციალური გამოშვება. მასში ფსევდონიმით დაიბეჭდა კ. კალაძის ლექსი „რადიომოყვარულის სიყვარული". თუ როგორ უყვარდა ეროსი მსმენელებს იმთავითვე, ლექსის ამ ერთი სტროფითაც ჩანს:

აგერ ძიგუა, და აგერ  
თვით მანჯგალაძე ეროსი,  
რადიო-მახარობლები  
სრულიად საქართველოსი.

ეროსი მეოცნებე იყო. მახსოვს, ერთხელ შესვენების დროს, თავისუფალ სტუდიაში შესულიყო. თვალები დაეხუჭა. ხელები თავზე შემოეწყო და ისე იჯდა. ცოტა არ იყოს შევშინდი: ეროსი, ცუდად ხომ არა ხარ-მეთქი, ვკითხე: არა, ვოცნებობ, მიყვარს ოცნება და როცა მარტო ვრჩები, ოცნებით ვერთობიო, — მისთვის ჩვეული მორცხვი ღიმილით მიპასუხა.

გამოჯავრების და საერთოდ, იმპროვიზაციის საოცარი ნიჭი ჰქონდა; ყველას ხასიათს იშვიათი სიზუსტით აღბეჭდავდა.

სტუდიაში ვიყავით მედეა ჩახავა, ნათელა იასალაშვილი, მაგუ ურუშაძე, ელიკო ტაბლიაშვილი და მე. უცებ შემოვიდა ეროსი, მას ჩაფიქრებული ჰქონდა, ჩვენს წინაშე გაეთამაშებინა გადიდკაცებული მდაბიოს როლი. ქედმაღლურად მოგვესალმა, შევიდა ვითომ თავის კაბინეტში, მოიხურა კარი, გამოიძახა მდივანი და დაიწყო მთხოვნელების „მიღება". რა თქმა უნდა, ყველამ მხარი აუბა და იშვიათად ლამაზი სკეტჩი გათამაშდა. მე, წლოვანებით მათზე უფროსი, თავშეკავებული ღიმილით ვუცქერდი ამ ინსცენირებას. მაგრამ ეროსი ისეთი კუთხური კილოკავით, ისეთი ჟესტიკულაციით ლაპარაკობდა და ისე შეუმჩნევლად მიწვევდა თავისკენ, რომ აბა სად შემწევდა ძალა, მეც არ ავყოლოდი ამ მხიარულებაში სხვა ადამიანებს.

მახსოვს, ერთხელ დიდ სარკესთან იდგა ახალ კოსტიუმში გამოწყობილი და თავის ორეულს ესაუბრებოდა. „ეროსი, ვის ელაპარაკები?!" — ვეკითხები. „საკუთარ თავს, მიყვარს ჭკვიან ადამიანებთან გასაუბრება", — მიპასუხა.

ყველას წარმატება უხაროდა, არავისი არაფერი შურდა. ეს იმიტომ, რომ დიდბუნებოვანი ადამიანი იყო. თუკი ვინმეს გაუჭირდებოდა, უხაროდა, დახმარებას თუ აღმოუჩენდა!

ჩვენს ოჯახში ნამდვილ შვილობილად იყო მიღებული.

მახსოვს 1947 თუ 1948 წელი. ქალაქში ცხოვრება ჯერ კიდევ ჭირდა. ერთ დღეს მოდის ეროსი სტუდიაში და მეუბნება:

„ახლა შენ არ გეწყინოს და ეს შენს პატარა გიას წაუღე", — და ერთი ქილა ერბო მომაწოდა.

ეს ამბავი იმ წამსვე მთელ რადიოკომიტეტს მოედო. ლეო ესაკიას თვალზე აღტაცების ცრემლიც კი მოადგა.

* * *

ეროსი ჩვენი ოჯახის საყვარელი სტუმარი იყო. ჩემი შვილის დაბადების დღეს მოლოცვის გარეშე არ დაგვტოვებდა. უყვარდა ვაჟკაცური, ლაზათიანი ლხინი. უყვარდა სუფრაზე ლამაზი სადღეგრძელოები, ლექსების კითხვა, განსაკუთრებით ლადო ასათიანის „სალაღობო". უყვარდა ჩემი დისშვილების დორიან და მარლენ კიტიების სიმღერების მოსმენა. ისიც ბანს აძლევდა ხოლმე. ყოველთვის მთხოვდა, წამეკითხა ალექსანდრე აბაშელის „ბებიაჩემი", რასაც მე სიამოვნებით ვასრულებდი.

არ მახსოვს, იგი ნაღვლიანი და სევდიანი ყოფილიყოს. მხოლოდ როდესაც ჩვენი ფეხბურთელები აგებდნენ ხოლმე, გაისმოდა ტელეფონის ზარის წკრიალი, ეროსი ეძებდა ჩემს მეუღლეს, იმხანად გაზეთ „კომუნისტის" სპორტულ მიმომხილველს ვალერიან გაბელიას, რომ გულის ტკენა მისთვის გაეზიარებინა.

გაივლის კიდევ მრავალი წელი, ახალ-ახალი ვარსკვლავები მოევლინება ქართულ სცენას და საქართველოს რადიოს, მაგრამ ის უსაზღვროდ მიმზიდველი, ზარივით ბუბუნა ხმა, ის ბრწყინვალე, ალღოიანი კითხვა ქართული პროზისა თუ ლექსისა, რაც ეროსი მანჯგალაძეს შეეძლო, განუმეორებელი დარჩება.

**ქეთო ლანდია,**

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

# პოეზია



ჯულიეტა მილდიანი

## ანა კალანდაძეს

მრავალმა ლამაზმა ლოდინმა დამღალა,
მაგრამ დღეს მეწვია ერთი.
მივადექ იმ ცისფერ ნაპირებს,
სულ რომ მპირდებოდა ღმერთი.
აქ დავცემ მე კარავს, სინაზის ხატებთან
ანთია სანთლების ჯარი.
აღარ დამჭირდება ზაკვა და,
აღარ დამჭირდება ფარი.
ფიქრსა და ოცნებებს დაბნეულთ, გაძარცულთ
ავკრიფავ მისხალ-მისხალ...
მუხლმოდრეკილი ვილოცებ
შენს მზეზე ყოველ სისხამს...
...ოღონდ თქვენ გისმენდეთ,
ოღონდ თქვენ გხედავდეთ,
ოღონდ თქვენ იცოცხლეთ დიდხანს!

## სიცოცხლეო

მზის ჩინჩხლებით დაფრქვეული
მენვის სული გრძნეული,
მაინც შენკენ, სიცოცხლეო,
მოვქრი გადარეული.

დადექ, სულში ჩაგაფრქვიო,
ზეცა შუქმომფინარე.
მარგალიტის შხეფებს იმსხვრევს
ოცნებების მდინარე.

სიტყვის კონა ძნებად შევკარ,
გავხსენ გულის კარიბჭე;
ახლა ძნები რომ გავლეწო,
კალოს ნულარ დამიჭერ.

მინდა ლორთქო ბალახების
გაზმორება გაჩვენო,
დამეხმარე იდუმალის
ამოხსნაში, გამჩენო!

იქნებ, მე სხვა გზას ვადგივარ,
გზა საჩემო სხვაგან დის,
იქნებ, ჩემი ალავერდი,
სწორად აღარ გადადის?!

იქნებ, ჩემი ალიკვალი
გაცრეცილი ნისლია,
და არ მესმის ჩემს სავალზე,
ტყვიას რატომ ისვრიან?!

ბინდში მოჩანს ჩემი ციხე,
ძირს გართხმული ალამიც,
დაგვიანდა საყველპურო,
გაცვეთილი სალამიც.

თითქოს იქით არ მივდივარ,
სადაც შმაგად მელიან,
სადაც ჩემი შესატყვისი,
სხვა რითმა და ფერია.

ალბათ, ცაო, შენი ბრალით,
ვხარჯავ სულის სალაროს,
მზეო, გზები გამინათე,
მზეო ამომავალო!

მზის ჩინჩხლებით დაფრქვეული,
მენვის სული გრძნეული.
მაინც შენკენ, სიცოცხლეო,
მოვქრი გადარეული!

## ვილაც

ნულარ იმართლებ თავს,
ვიცი, რომ ყოველ წამს,
ვილაც მიკვეცავს ფრთას,
ვილაც გულს მიჩენს ბზარს,
ვილაც მისინჯავს ფხას,
ვილაც მომტირის ზარს,
ვილაც,
ვილაც და
ვილაც
საეჭვოდ მივლის გარს...
შეჩვეული ვარ, ჭირიმე,
ნულარ იმართლებ თავს...

ვერ მოვიშველებ ველარც ფარს,
ველარც ველარა ჯარს,
მაგრად ჩავკიდებ მხოლოდღა,
ჩემი დროშაის ტარს;
იმ კაცურ კაცთა იმედით
სამშობლოსთვის რომ სვლას
სთვლიან უწმინდეს ვალად და
ანაცვალებენ თავს.

# ქალაქელი მინდია

...წლევანდელი ხშირი წვიმებით გალაღებული მინდვრები, მიუხედავად შუა ზაფხულის სიცხისა, მწვანედ ბიბინებენ, ათასფერი ყვავილებით თავს კვლავინდებურად იწონებენ. იქით ინდური იასამნის ახლად აყვავებული ბუჩქი ტანზე დილის ცვარს იშრობს, აქეთ, მაღალ ვერხვზე, შაშვი ისე გალობს, რომ ამ უთენია ქუჩაში გამოსული, ვერხვის მახლობლად ვჩერდები, მგალობელ ფრთოსანს თვალით დავეძებ.

გუდამაყრის ქუჩაზე მდებარე სკვერის სილრმიდან ნაცნობი ხმა მესმის — „ღმერთმა გიცოცხლოს ეგ ჰანგი, ეგ ხმა".

ახლა იმ ნაცნობს დავუწყე ძებნა:

— ძია ვასო, უკვე აქა ხართ? — შევძახე ქვევიდან.

კიბიდან ჩამოსულმა ძია ვასომ ჩურჩულით მითხრა:

— ჩუმად იყავი, ქალაქის გაღვიძებამდე იქნებ კიდევ იმღეროს...

...ლენინის რაიონის გამწვანების კანტორის ახალბედა თანამშრომელი პირველად გაზაფხულზე შევხვდი ღვაწლმოსილი აგრონომის — ამირან ნადარეიშვილის ბრიგადას.

ჩვენი კანტორის მაშინდელმა დირექტორმა კოკი ჯალაღანიამ ერთ დღეს დამავალა: ნადარეიშვილი ბაზალეთში მიდის ბელტის მოსაჭრელად და ბრიგადა მთლიანად არ მიჰყავს, ხოლო ბრიგადირი ვასო პაპიაშვილი ავადაა, ამიტომ ხვალ უბანში მუშებს ადრე დაიბარებ, სამუშაოს დაუტოვებ და ცხრა საათისათვის ლოტკინზე ამოხვალ; ამირანის ბრიგადა აქვე მუშაობს და ბელტის დასაგებად ტერიტორია უნდა მომზადდესო.

მეორე დღეს ადგილზე დროულად გამოვცხადდი. ვასო პაპიაშვილი სამუშაოზე დამხვდა. ნაავადმყოფარი იყო, მაგრამ მკლავებდაკაპიწებული მაინც მუშაობდა. როცა მასთან მივედი, თავის მართლება დაიწყო:

— მეორე დღეა, სიცხე არა მაქვს. გულმა არ მომითმინა...

ახლა ბრიგადის რომელიღაც წევრი ალაპარაკდა:

— ვასო დიდხანს შინ ვერ მოიცდის. აქ ყველა ხესა თუ ყვავილს, ბალახსა თუ მიწის ჭიაღუას, ყოველდღე თავის ენაზე რომ არ გაესაუბროს, გამარჯობა არ უთხრას, ისე რა გააძლებინებს. ვასო ჩვენი მინდიაა, ქალაქელი მინდია!



ამ სიტყვებთან ერთად ყურში ჩამესმოდა ვასო ძიას ნათქვამიც:

— ხესა თუ ყვავილს შვილივით გაზრდა, მოვლა და მუდმივად მზრუნველი ხელი სჭირდება, ამიტომ ყველა მათგანი შვილივით უნდა გვიყვარდეს, უნდა გვესმოდეს მათი ჭირი თუ ლხინი...

ალბათ ძია ვასოს ასეთი გაგება იყო საფუძველი იმისა, რომ ჩვენი კანტორის მაშინდელი დირექტორი ხშირად ამბობდა ხოლმე:

— ჩვენს კანტორაში მომუშავე ყველა ადამიანს, სულ ერთია, მუშა იქნება თუ აგრონომი, ვასო პაპიაშვილივით უნდა უყვარდეს თითოეული ხე და ბუჩქი, თითოეული ყვავილი თუ ბალახის ღერო; ვასო პაპიაშვილივით უნდა შეეძლოს მათი მოვლა-პატრონობა... აი, მაშინ დაფასდება ჩვენი შრომა და საქმიანობა!

1967 წლიდან მე და ვასო პაპიაშვილი ერთ ორგანიზაციაში ვმუშაობთ; ძია ვასო თბილისის ლენინის რაიონის გამწვანების კანტორის ერთ-ერთი პიონერია.

ვასო პაპიაშვილს ოქროხელება მებაღე ჰქვია, მის მიერ გაშენებული ბაღი მისივე ბედნიერებაა; სწორედ ამ ბედნიერებამ შეაძლებინა ვასო პაპიაშვილს 43 წელი ემუშავა მიწაზე, ქალაქის მტვერსა და ხმაურში, გამწვანების სისტემაში, ეხარებინა ხე და ყვავილი, მოევლო ბაღ-სკვერებისათვის, რათა ქალაქს სუფთა ჰაერი არ მოკლებოდა.

ამ ბედნიერებამ ათქმევინა ვასო პაპიაშვილს: ერთი ყვავილი უყვავილო მთელ დედამიწას სჯობიაო...

ნაზი ჭედია



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინიატურები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი ბედი რა ვთქვი!

ფუი, ჩემი ბედი რა ვთქვი! ბოდიში, წამომცდა. თუმცა რა გასაკვირია, რომ წამომცდენოდა. შემხედეთ, ვგავარ ახლა მე რამეს? არც ერთი ღილი არ შემრჩა, ისე დამჭუჭნეს. წნეხიც კი ვერ მიშველის. კაცმა რომ თქვას, ღმერთს არ უნდა ვცოდავდე: ავტობუსიდან გადმოგდებული ცოცხალი რომ გადავრჩი, მადლობის მეტი რა მეთქმის. ეხ, ჯობს, ისევ „მარშრუტკას“ დაველოდო.

ბედი მაქვს მე? ასე იყო ბავშვობაშიც. ყოველთვის ჩემ ცხვირწინ თავდებოდა ყველაფერი: კინოს, თეატრის, კონცერტის ბილეთები, ხორცი, პური, კარაქი, ყველი, ნაყინი. მოკლედ ყველაფერი. აი ახლაც: ვდგავარ რიგში, ორი „მარშრუტკა“ გავუშვი. მესამეში რომ ვჯდებოდი, ფეხმძიმე ქალი გამოჩნდა საიდანღაც და დავრჩი პირში ჩალაგამოვლებული. არა უშავს, მეოთხეში, ალბათ, პირველი ჩავჯდები.

ვაი! ჩემკენ ვიღაც მაღალი, მხარბეჭიანი მამაკაცი გამოქანდა. გავშეშდი. თვალწინ გაირბინეს ბავშვობის ბედნიერმა დღეებმა, ცოლ-შვილის, ახლობლების სახეებმა და ჩემს გონებაში ელვასავით განათდა კითხვა: „რას მერჩის?“

მამაკაცი მომიახლოვდა, თავის ტორებში ჩამბღუჯა, „გრიშა, როგორ ხარ?“ ამოიგმინა და გადამკოცნა. სანამ მოვახერხებდი მეთქვა, ოცდაათი წელი ზურაბი რომ მერქვა, ყური ცხელმა სუნთქვამ დამიწვა: „ძმობილო, ნუ დამღუპავ. ძალიან მეჩქარება. ვითომ ძველი ნაცნობები ვართ. შენთან დამაყენე. პავლე მქვია“.

— ვახ, პავლე, როგორ ხარ? სად დაიკარგე ამდენ ხანს? მამაჩემი გამგელებული გელოდება. შენ რომ ყანწი გიყვარს, გახმა, კაცო. არა, არაფერი არ ვიცი, ახლა ჩემს ხელში ხარ და არსად გაგიშვებ! ჩვენთან უნდა წამოხვიდე. — უცებ გავერკვიე სიტუაციაში და მაგრად ვუთაქე — წელანდელი შიშისათვის მის ბეჭებზე ვიყარე ჯავრი.

ისე, ეტყობა ბედი აქვს პავლეს. რიგში, ჩემს უკან მდგარმა ქალებმა უცებ დაიჯერეს ის, რისიც მე თვითონ არ მჯეროდა. ამ დროს მოვიდა ექვსი ნომერი „მარშრუტკა“ და პავლეს ხელი ვკარი. მაგრამ...

— ფუი, ჩემი ბედი რა ვთქვი! მე ხომ ათი ნომერი მინდოდა!

პავლე არც კი დამემშვიდობა.

აი, ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, ბედი მაქვს მე? კაცისთვის პატივი მინდოდა მეცა და...

## ძველი ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მესაფლავე. უთხრიდა საფლავს მოყვასსა თვისსა და ცხოვრობდა ამით. ურიგოდ არ ცხოვრობდა: სახლიც ჰქონდა, აგარაკიც და მანქანაც ჰყავდა.

ერთხელ მესაფლავემ თქვა: ყველაფერი მაქვს, ერთი სახელიღა მაკლია. მოდი, წავალ უდაბნოში, ჭას გავთხრი და ხალხში კეთილი კაცის სახელი გამივარდებაო.

თქმა და შესრულება ერთი იყო. წავიდა უდაბნოში, მონახა ადგილი, ახსენა ღმერთი და შეუდგა ჭის თხრას. ჯერ ხუთიოდე ადლის სიღრმის ორმოც არ ჰქონდა ამოთხრილი, ბარი რაღაც მაგარს რომ მოხვდა. დახედა, ნახა ფიცარია. გადახსნა ფიცარი და თვალები გაუნათდა — მის წინ ოქროთი სავსე ორმო იყო. ჩავიდა ორმოში და დაიწყო ოქროს ზევით ამოყრა. საღამომდე ყარა. ბოლოს ზევით ამოსვლა დააპირა, მაგრამ ველარ შეძლო. ადრე ვერ შეამჩნია, ოქროს ამოყრასთან ერთად, ორმოს სიღრმე რომ მატულობდა. დაჯდა და ტირილი დაიწყო. მაგრამ გაფუჭებულ საქმეს ტირილი რას უშველიდა?!

დღესაც იქ ზის. ზევით ამოყრილმა ოქრომაც ვერ უჭირისუფლა იმ საცოდავს.

ჭირი იქა, ლხინი აქა.
ქატო იქა, ფქვილი აქა.

## სასწრაფო საქმე

სასწრაფო საქმეზე თბილისში ვიყავი წასასვლელი. როგორც კი დეპეშა მივიღე, მოვემზადე და ავტობუსის გაჩერებაზე გავედი.

ჩემი მოგზაურობა ორი მონაკვეთისგან შედგებოდა — შვიდკილომეტრიანი გზა რაიონის ცენტრამდე და შემდეგ ორასი კილომეტრი, საქალაქთაშორისო ავტობუსით, თბილისამდე.

იმ ადგილს, სადაც მე ვიდექი, ავტობუსის გაჩერება პირობითად ვუწოდე. იგი დასახლების ბოლოს მდებარეობდა. ზამთრობით, ალბათ, ბენზინის ეკონომიის გამო, აქ არც ერთი ავტობუსი არ მოდიოდა. ვიყავით გამვლელი მანქანების იმედზე.

ვდგავარ ახლა და ყველა მანქანას ხელს ვუწევ. არც ერთი არ მიჩერებს.

ბოლოს ავირჩიე ერთი სანდო სახიანი მძღოლი და გზაზე გადავუდექი. იმ სივიწროვეში გზას მე კი არა, ჭიანჭველასაც ვერ აუქცევდა. მანქანა გაჩერდა. ბევრი ხვეწნის შემდეგ, შენს თავს დააბრალეო, მითხრა და მე ძარაზე ავძვერი.

მანქანა დაიძრა.

მძღოლმა, ეტყობა, გადაწყვიტა ჩემთან დაკარგული დროის ანაზღაურება და ამ გზისთვის უმაგალითო სიჩქარით დაძრა მანქანა.

ჩემი თავგადასავალიც დაიწყო.

პირველი ორმოდან მანქანის ამოხტომის შემდეგ, ფორთხვით დავუბრუნდი ჩემს ადგილს, რაც შეიძლებოდა ხელი მაგრად ჩავჭიდე მანქანის კიდეს და გადავწყვიტე, აუცილებლად დამეწყო ვარჯიში ბატუტზე ხტომაში.

ექვსი-შვიდი ორმოს შემდეგ უკვე ფორთხვაც აღარ შემეძლო. ამიტომ მძღოლს დავუბრახუნე და სიგარეტი ვთხოვე. მძღოლი გაბრაზდა, მაგრამ სიგარეტიც მომცა და ასანთიც. გზა განვაგრძეთ თუ არა, მოკიდებული სიგარეტი გადავაგდე. არა მგონია, ჩემს პირობებში მყოფ ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს სიგარეტის მოწევა შესძლებოდა. უბრალოდ ვიეშმაკე. მენდეთ, ასე დროულად არც ერთ მწვრთნელს არ აუღია წუთშესვენება.

მეოცე ორმოზე ძარის ყველა კუნჭული მოსინჯული მქონდა. დავადგინე, რომ დაცემის პირობების მხრივ, ყველაზე უკეთესი იყო ძარის მარცხენა ქვედა კუთხე. აქ კეთილშობილ მძღოლს, მგზავრებისთვის კომფორტის შესაქმნელად, ცოტაოდენი ნახერხი დაეყარა.

მეორმოცე დაცემაზე თავისუფლად გავაკეთე ხათ-ხა იოგას ერთ-ერთი „პოზა“, რომლის გაკეთებაზე ხუთი წელი ვარჯიშობენ თურმე იოგები. ასე რომ, მგზავრობა არც თუ ისე მოსაწყენი იყო (თუმცა მარტოობა უფრო დამტანჯველია).

მეასე ორმოზე გადავწყვიტე, მიმეღწია მძღოლამდე და კიდევ ერთი წუთშესვენება ამეღო. ეს გადაწყვეტილება გმირული იყო. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ მიზანი ამხნევებს ადამიანს და მეც საკაძისეული სულისკვეთებით, რომელიც, ეტყობა, ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენში, ჩემი მიზნის განხორციელებას შევუდექი.

დავიწყე თუ არა ჩემი გეგმის პირველი პუნქტის შესრულება, მანქანამ გადაუხვია, თან ორმოში ჩახტა. უეცრად გავიმალე, მოვდუნდი და ის იყო, ნეტარებას უნდა მივცემოდი, რომ რაღაცამ დამკრუნჩხა. ამას მოჰყვა ტკივილი მუცლის არეში, სადღაც მარჯვენა მხარეს. მერე სასიამოვნო ბინდბუნდში წავედი და ჩემი გეგმა შეუსრულებელი დამრჩა...

გონს მოვედი და ახალი სიურპრიზი, თანაც როგორი! რატომღაც ჩემი ლურჯი სხეული გათეთრებულიყო და გამკვრივებულიყო; თავზე კი ორი ლამაზმანი დამტრიალებდა. თვალებით გაკვირვება გამოვხატე (პირი აკრული მქონდა). მიმიხვდნენ და გამაგებინეს, რაიონულ საავადმყოფოში იმყოფებიო.

ამ დროს ექიმიც მოვიდა. თვალები სიძულვილით ამენთო. ამ არაადამიანის გამო სასწრაფო საქმეს მოვცდი, ეს კი როგორ იღიმება, როგორ იბღინძება. რა მჭირდა ახლა მე, ასე რომ შემფუთნა.

მითხარით, ის სასწრაფო საქმე რომ არ გაკეთდა, ვისი ბრალია?! არა, არა ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, ვიჩივლებ... იმ ექიმს აუცილებლად მოვახსნევინებ!



მოთხრობა

# ეჭვმიტანილი მაკბეტი

ჯეიმს ტერბერი

— რა სისულელე მომივიდა, — გამომიტყდა ერთი ამერიკელი მანდილოსანი, რომელიც სასტუმროში, ტბების მხარეს, გავიცანი, — ეს წიგნიც გამომცემლობა „პინგვინის“ სხვა წიგნებთან ერთად იდო თაროზე, ისეთივე ჯიბის ფორმატის, ქაღალდის ყდით, ექვსპენსიანი, ჰოდა, მეგონა, ესეც დეტექტივი იყო; ყველა წაკითხული მქონდა და მეც ეს ავიღე. წარმოიდგინეთ, როგორ გავბრაზდი, როცა ვნახე, რომ შექსპირი იყო?!

თანაგრძნობისმაგვარი რაღაც წავილუღლუღე.

— ვერ გამიგია, რად დასჭირდათ შექსპირის გამოცემა დეტექტივისებურად, იმავე ფორმატით, და საერთოდ...

— მაგრამ, მგონი, დეტექტივს სხვა ფერის ყდა აქვს! — შევნიშნე მე.

— მართლა? მე რაღაც არ შემიმჩნევია, — მიპასუხა მანდილოსანმა, — მაგრამ, როგორც კი საწოლში მოხერხებულად მოვეწყვე, დეტექტივის წასაკითხად მოვემზადე, ვხედავ, ხელში შექსპირის ტრაგედია „მაკბეტი“ არ მიჭირავს! მე კი საოცრად მინდოდა, აგატა კრისტის რომელიმე რომანის ან რაღაც ამდაგვარის წაკითხვა; ერკიულ პუარო ჩემი საყვარელი მაძებარია, იცით?!

მეორე ფინჯან ჩაიზე ჩემმა ახალმა ნაცნობმა სულ ახლახან წაკითხული დეტექტივის მოყოლა დაიწყო, მე შევაწყვეტინე:

— „მაკბეტი“ წაიკითხეთ, არა?

— აბა, სხვა რა გზა მქონდა!

—მოგეწონათ?

— არა, — მკვეთრად მომიჭრა მან, — ჯერ ერთი, ვერაფრით დავიჯერებ, ეს მაკბეტმა რომ მოიმოქმედა!

— რა? — შევეკითხე გაოცებულმა.

— როგორ თუ რა, მეფის მკვლელობა; ვერც იმას დავიჯერებ, თითქოს ლედი მაკბეტიც იყოს ამ საქმეში გარეული; თუმცა ეჭვმიტანილნი არიან, ასეთები დეტექტივში ყოველთვის უდანაშაულონი აღმოჩნდებიან ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, ისინი არ უნდა იყვნენ დამნაშავენი.

— ვშიშობ, რომ... — დავიწყე მე.

— რა არის აქ გაუგებარი? — წამოიძახა მანდილოსანმა, — თუ თავიდანვე მივხვდით, ვინ არის მკვლელი, რა ინტერესია, ბოლომდე წავიკითხოთ? შექსპირი საკმაოდ ჭკვიანია, ეს რომ არ ესმოდეს. მე სადღაც ამომიკითხავს, ჰამლეტი დღემდე ამოუცნობი პიროვნებაა. ტყუილად ჰგონიათ „მაკბეტში“ ყველაფერი ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ჩიბუხი დავტენე და თან ამ სიტყვებზე ჩავფიქრდი.

— თქვენ ვის ადანაშაულებთ?

— მაკდუფს! — გაცხარებით წამოიძახა მან.

— ღმერთო ჩემო! — ჩუმად ამოვიოხრე.

— მკვლელი მაკდუფია, ეჭვი არ შეგეპაროთ! — განაცხადა გამოცდილი კრიმინალისტის ტონით, — ერკიულ პუარო ყოველივეს წამში გამოააშკარავებდა.

— როგორ მიხვდით? — დავინტერესდი.

— არც ისე იოლად. თავდაპირველად ბანქოზე ვეჭვობდი, ხოლო შემდეგ ისიც მოჰკლეს, როგორც წესია. შექსპირს ეს კარგად აქვს გაკეთებული — ვისზედაც მკვლელობაში ეჭვი გეპარება, ისიც კვდება.

— რას ამბობთ?

— კი, კი! ერთმა ექსპერტ-კრიმინალისტმა მითხრა, ავტორმა მკითხველს დაფიქრების საშუალება არ უნდა მისცესო. მართლაცდა, მეორე მკვლელობის შემდეგ უკვე აღარ ვიცოდი, ვისზე მიმეტანა ეჭვი.

— აბა, მოკლული მეფის შვილები — მალკოლმი და დონალბაინი? — შევეკითხე, — როგორც მახსოვს, ისინი მეფის სიკვდილისთანავე გაიქცნენ, განა არ გაეჭვებთ?

—ძალიან საეჭვოა,—განაგრძო მანდილოსანმა, — ძალიან საეჭვო. უდანაშაულო ყოველთვის გარბის!

— იქნებ, ბრენდი დამელია? — წავილუღლუღე.

ჩემი თანამოსაუბრე თვალებანთებული გადმოიხარა ჩემსკენ.

— გახსოვთ, ვინ იპოვა დუნკანის გვამი?

— სამწუხაროდ, არ მახსოვს,— ვუპასუხე.

— გვამს მაკდუფი პოულობს! — განაცხადა და მოქმედება ახლანდელ დროში გადმოიტანა, — იგი ჩამორბის კიბეზე ყვირილით: „უბედურება! ღვთისაგან მირონცხებულის სასახლეში“. და კიდევ: „ო, წმინდანებო! სიცოცხლემ დატოვა სხეული“... და ასე შემდეგ.

მან შინაურულად დამკრა მხარზე ხელი, თან განაგრძო:

— ეს ყველაფერი მან ადრევე მოიფიქრა. აი თუნდაც თქვენ, განა გვამის აღმოჩენისას ამდენ რამეს იტყოდით?

— მე?!.

— სწორია! — წამოიძახა მან, — რა თქმა უნდა, არ იტყოდით, თუ წინასწარ არ დაიზეპირებდით ფრაზას. იტყოდით უბრალოდ „ღმერთო, გვამი!“ აი ყველაფერი, რასაც ასეთ წუთებში იტყვის წესიერი ადამიანი.

და ის გამარჯვებული სახით გადაესვენა სკამის საზურგეზე.

— აბა, მესამე მკვლელი? — შევეკითხე, — მესამე მკვლელის გამოცანა უკვე სამასი წელია, მოსვენებას არ აძლევს შექსპიროლოგებს.

—მხოლოდ იმიტომ, რომ მაკდუფზე არავის უფიქრია, — დამიდასტურა, — დარწმუნებული ვარ, მესამე მკვლელი მაკდუფია. ხომ არ შეიძლება მკვლელი იყოს რომელიღაც საშუალო სისხლის სამართლის დამნაშავე, მკვლელი მუდამ ვილაც გამოჩენილი პირია!

— კარგით, როგორღა ახსნით სამეფო ტრაპეზის სცენას? — შევეკითხე მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, — რატომ იქცევა მაკბეტი დამნაშავესავით, როცა ბანქოს სული სუფრაზე მის ადგილზე ჯდება?

— არავითარი სული იქ არ ყოფილა! — მან ისევ დამკრა მუხლზე ხელი, — მაკბეტი ძლიერი მამაკაცია, საიდან უნდა მოლანდებოდა სული, თანაც განათებულ დარბაზში, ხალხში! უბრალოდ, მაკბეტი ვილაცის დაფარვას ცდილობდა.

— მაინც ვის?

— აშკარაა, მისის მაკბეტის. იგი ხომ ფიქრობდა, რომ მისის მაკბეტი იყო მკვლელი, ჰოდა, გადაწყვიტა, უკეთესია, მე დამსაჯონო! ქმრები ყოველთვის ასე იქცევიან, როცა ცოლიც ეჭვმიტანილია.

— კი, მაგრამ ლედი მაკბეტი რატომღა გამოტყდება მკვლელობაში, როცა სასახლეში მძინარი დადის?

— ესეც იგივეა, — მიპასუხა, — მხოლოდ შებრუნებით, ახლა ლედი მაკბეტი ფარავდა მაკბეტს, სულაც არ ეძინა. გახსოვთ, როგორ არის „გამოდის ლედი მაკბეტი სანთლით?“

— როგორ არ მახსოვს.

— ჰოდა, აი, მთვარეულები სანთლით არასოდეს დადიან, უსანთლოდაც ყველაფერს კარგად ხედავენ. განა თქვენ გაგიგიათ მთვარეულები სანთლით რომ დადიოდნენ?

— გამოგიტყდებით, რომ არა!

—აი, ხომ ხედავთ, ესე იგი, არ ეძინა, უბრალოდ მაკბეტის დაფარვის მიზნით მთელი დანაშაულის საკუთარ თავზე აღება უნდოდა!

— იქნებ, კიდევ დამელია ბრენდი? — წავილუღლუღე, — გეტყობათ, დიდი აღმოჩენა გააკეთეთ, — ვუთხარი ჩემს თანამოსაუბრეს, — იქნებ, ამ საღამოს მათხოვოთ „მაკბეტი“, მინდა, ძილის წინ გადავიკითხო. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს არასოდეს წამეკითხოს.

— ინებეთ, გეთაყვა, — მიპასუხა, — თავად ნახავთ!

საღამოს ყურადღებით გადავიკითხე პიესა, დილით, საუზმის შემდეგ, გოლფის სათამაშო მოედანზე მოვძებნე ჩემი გუშინდელი თანამოსაუბრე, მივუახლოვდი და ფრთხილად ხელზე შევეხე, შემომხედა.

— შეიძლება, ცალკე ვისაუბროთ? — შევეკითხე მე.

მან თავი დამიქნია და ბაღის მყუდრო კუთხისკენ გამომყვა.

— რაიმე ახალი გაიგეთ?

— მე ვიცი, ვინც არის მკვლელი! — მოზეიმე ხმით ვუპასუხე.

— თქვენი აზრით, მაკდუფი არ არის მკვლელი?!

— მაკდუფი, ისევე, როგორც მაკბეტი და მისი ცოლი, უდანაშაულოა! — ჯიბიდან ამოვიღე პიესა და მოვძებნე მეორე აქტის მეორე სცენა, — აი, წაიკითხეთ, ლედი მაკბეტი ამბობს: „ის (ე. ი. მაკბეტი) ხანჯლებს მსახურთა გვერდით ნახავს, ისინი დასანახ ადგილას აწყვია. მძინარი დუნკანი ასე რომ არ ჰგავდეს მამაჩემს, საქმეს თვითონაც კი მოვუვლიდი“ — განა ნათელი არ არის?!

— არა, — გულწრფელად გამომიტყდა ჩემი ნაცნობი, — რაღაც ვერ გავიგე.

— კი, მაგრამ ეს ხომ სრულიად მარტივია! მიკვირს, რატომ ამას ადრე ვერ მივხვდი. მძინარი დუნკანი იმიტომ ჰგავდა ლედი მაკბეტის მამას, რომ საწოლში ნამდვილადაც მამამისი იწვა!

— ოი, ღმერთო ჩემო! — ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა მან.

— მეფე დუნკანი მოკლა ლედი მაკბეტის მამამ, — განვაგრძე მე, — და ნაბიჯის ხმა რომ გაიგონა, გვამი საწოლის ქვეშ დამალა, თვითონ კი საწოლში ჩაწვა. აი, აქ ნათქვამია: „შემოდიან როსსი და მოხუცი“, არსად არ ჩანს, ვინაა ეს მოხუცი. ჩემი აზრით, სხვა არავინაა, თუ არა მოხუცი მაკბეტი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, თავისი ქალიშვილი დედოფლად ეხილა. აი, სხვათა შორის, დანაშაულის მოტივიც.

— მაგრამ ის ხომ მეორეხარისხოვანი პერსონაჟია!

— სრულიადაც არა! — მივუგე მე, — ყველაფერი თავის ადგილას აღმოჩნდება, თუ გავიაზრებთ, რომ იგი გრძნეულის, ჯადოქრის ტანსაცმელში იყო გადაცმული.

— გინდათ თქვათ, რომ იმ სამი გრძნეულიდან ერთ-ერთი ის იყო?

— დიახ! მოუსმინეთ, რას ამბობს მოხუცი: „გასულ სამშაბათს, შენ გჯერა, მე დავინახე, როგორ კორტნიდა შევარდენს ბუ“, ვისი სიტყვების მსგავსია?

— კი, გრძნეულები თითქმის მასე ლაპარაკობენ, — უყოყმანოდ დამეთანხმა იგი.

— აი, ხომ ხედავთ! — ვზეიმობდი მე, — მჯერა, რომ მართალი ვარ. და იცით, რას ვფიქრობ მომავლისათვის?!

— არა...

— ვიყიდი „ჰამლეტს“ და შევუდგები მკვლელის ძებნას!

— ესე იგი, ჰამლეტს, თქვენი აზრით, არავინ მოუკლავს?! — თვალანთებულმა შემომხედა.

— დარწმუნებული ვარ!

— აბა, ვისზე გაქვთ ეჭვი? — დაინტერესდა იგი.

— ყველაზე! — მოკლედ მოვჭერი და გამომცდელად გავუსწორე თვალი.

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ დემეტრაშვილმა.

# გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე

გაზეთ „ივერიაში“ სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები, რომლებიც ალკოჰოლს და მის მავნე გავლენას შეეხებოდა.

იმ დროის ცნობილი მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, ექიმები მკითხველებს მოუთხრობდნენ, რომ ლოთობა უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, აუძლურებს გონებას, აქვეითებს შრომის უნარს. მთვრალი ადამიანი კარგავს საკუთარი თავისადმი კონტროლს, ადვილად აღიგზნება და ხშირად გამოუსწორებელ დანაშაულს სჩადის. ალკოჰოლი მთელი რიგი სნეულების წყაროცაა.

„ივერიის“ ფურცლებზე ლოთობის საწინააღმდეგოდ გაშლილი ლაშქრობა ქართული პერიოდული პრესის ისტორიის ერთ-ერთი ნათელი ეპიზოდია. ამ თემისადმი მიძღვნილ წერილებს, კორესპონდენციებს, ინფორმაციებს, სხვადასხვა კონკრეტულ მაგალითებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა.

ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს ვთავაზობთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილებიდან ამორჩეულ ორ ნაწყვეტს, რომლებიც ალკოჰოლს და მის მავნე გავლენას შეეხება.

ალექსანდრე სიგუა

## ლოთობა და იმისი მავნებელი ზედ-მოქმედება

ლოთობაზედ დიდი ლექცია წაიკითხა ამას წინად მოსკოვში პროფესორმა იანჟულმა. მეტი არ იქნება, მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს შინაარსი ამ საყურადღებო ლექციისა.

რა არის ლოთობა? ლექტორის აზრით, ლოთობა ისეთი ხმარებაა მათრობელის სასმელებისა, როცა ადამიანს აღარ შეუძლიან ჩვეულებრივ კვალში იდგეს და ადამიანურად მოქმედებდეს. აქედან ცხადია, რომ ლოთობა სხვაა და სასმელების სმა სხვა, და თუ სმაში კაცი ზომას არ გადადის, ლოთობაც არ ეკიჟინება. ლოთობას დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს კანონ-მდებლებმა, ზნეობის მოძღვრებმა და მკურნალებმა. მკურნალი ლოთობას ისე უცქერის, როგორც ავადმყოფობას, რომელიც ცუდად მოქმედობს ადამიანის ჯანზე; ფსიხოლოგისათვის, ანუ ადამიანის სულის ვითარების მკვლევარისათვის, ლოთობა ისეთი მდგომარეობაა, როცა ადამიანის ნება და სურვილი სუსტდება და აღარ მოქმედობს; ზნეობის მოძღვრისათვის ლოთობა სენია, რომელიც ჰრყვნის ადამიანის ზნეობასა და დედაა ყოველის ბოროტებისა; სოციოლოგისა და ეკონომისტისათვის ლოთობა მავნებელი ჩვეულებაა ერისა, ისეთი მავნებელი ჩვეულებაა, რომელსაც მოსდევს ფლანგვა სიმდიდრისა და რომელიც ძირს უთხრის ერის წარმოებასა და ნაყოფიერს შრომას.

პროფესორმა იანჟულმა მოუთხრო მსმენელთ, თუ რა ვნება და ზარალი მოაქვს ლოთობას ადამიანის ჯანისათვის, როგორ უმოკლებს ლოთობა ადამიანს სიცოცხლეს და ჩაჰყავს ბოლოს საფლავში. ლოთობა ხშირად სიღარიბის ბრალია, მაგრამ თვით სიღარიბე მომეტებულ ნაწილად ლოთობისაგან წარმოსდგებაო.

**„ივერია“, № 111, 1888 წ., 28 მაისი:**

## სენი

იქნება ჩაიცინოთ და ბრძანოთ: „ქართველს კაცს ღვინის სმა როგორ დაეძრახებაო?“ დიახაც არა, მაგრამ როცა ამ ღვინის სმას მოსდევს უსაზღვრო ლოთობა, ბრუჟება და ლექობა, ის არის საძრახისი და სატირალი; თორემ როცა მამული ღიღინით, ცეკვით, მხიარულებით და ზომიერის შექცევით ატარებს დროს, როგორც ატარებდნენ ჩვენნი მამა-პაპანნი, მაშინ, რასაკვირველია, საძრახისს ადგილი აღარ ექნება. სამწუხაროც ეს არის, რომ დღეს დღევანდელი მსმელი ისეკი აღარ იქცევა, როგორც იქცეოდა ძველი კაცი, დღევანდელი მოქეიფე ჰსვამს ღვინოს და შიგ ჩააყოლებს ხოლმე, შიგ ჩაახრჩობს ხოლმე გონებას, ჯანს, ზრდილობას!.. ამასთან დღევანდელი ლოთი-ფოთი მიზეზიანობს ღვინის სმაში, ვითომც იუკადრისა ვისგანმე სიტყვა, ან საქციელი, ავგულიანობს, ჭირვეულობს უმიზეზოდ... ვნახოთ, ამ გონება მოცერცვაში დატრიალდება: ხმალი, ხანჯალი, გავარდება დამბაჩა, რევოლვერი!..

ამის შედეგი არის ხოლმე, უფრო ხშირად, უმანკო მსხვერპლი... ეს მარცხი გამოიწვევს წამოქომაგებას და შეიქმნება: ცემა-ტყეპა, დაჭრა, ერთმანეთის ხანჯვლა, კაცის-კვლა!..

ამ სურათის შემდეგ ნუ თუ კიდევ გაიცინებთ?.. მარტო უკანასკნელს თვეში ხუთი-ექვსი უბედური შემთხვევა იყო მოხსენებული „ივერიაში“ და თვითეულს შემთხვევაში ან კაცია მოკლული და ან მძიმედ დაჭრილი, და სულ-კი ლოთობაში, ღლევაში, ლექობაში!..

ამ გვარი ყოფა-ქცევა, ვამბობთ, გახშირდა, სენად გადაიქცა, თითქმის გადამდებ სენად!

ამ მოვლენის მიზეზი, რასაკვირველია, ბევრგვარია და, ჩვენის აზრით, — უფრო გაუნათლებლობაა და უსაქმობა.

დარწმუნებულნი ვართ, რომ განათლებული კაცი სხვა ქვეყანაში და თუნდაც ჩვენშიაც — ღვინოში არავის გამოითხოვს გასაჯიბრებლად, არ ჰკადრებს თავისს თავს, რომ ღვინო გადაასხას ვისმე თავსა და თეთრს პერანგზე, იმ მიზეზით, რომ მოპირდაპირემ ან თანამესადილემ ღვინო არ დალიოს ჯამით!..

იქნება იკითხოთ: ამ „სენს“ რა არგებსო? — წამალი ხომ აქვე მოვიხსენიეთ: განათლება, საქმეზე ხელის მოკიდება და ზომიერად სმა. სხვა სახსარიც იპოვება, თუ ამ „სენით“ მოცულებმა თვალი გაახილეს და გონება მოიკრიფეს.

**„ივერია“, № 118, 1888 წ., 7 ივნისი**




## „გ ე ლ ა თ ი“

ახლახან „ხელოვნებამ“ გამოსცა ფოტოალბომი „გელათი“ (არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები).

ფოტოალბომი შეადგინეს ევგენი დერლემენკომ და ედუარდ გიგილაშვილმა, წინასიტყვაობის (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე) ავტორები არიან რუსუდან მეფისაშვილი და თინათინ ვირსალაძე.

ფოტოალბომი წარმოგვიჩენს ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლს, რომელიც ათასწლეულების მანძილზე საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად ითვლებოდა. გელათის მონასტრის კედლებში შექმნილ აკადემიაში მოღვაწეობდნენ საუკეთესო ქართველი მეცნიერები — ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები, იურისტები.

გელათის აკადემიამ თანამედროვეთა შორისვე „ახალი ელადის“ და „მეორე ათენის“ სახელი დაიმკვიდრა.

ფოტოალბომი მკითხველს აცნობს გელათის კომპლექსის შესანიშნავ არქიტექტურას, მის უნიკალურ მოზაიკას და მეტყველ ფრესკებს, რომლებიც ნიჭიერ ქართველ შემოქმედთა — ხუროთმოძღვართა, ფერმწერთა და ოქრომჭედელთა მრავალი თაობის ნახელავია.

ფოტოალბომი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა გამოცემული; დაბეჭდილია ლუბლიანაში (იუგოსლავია). მას ერთვის საუცხოოდ შესრულებული ფერადი ილუსტრაციები.

ვილიამ დიკენსონი

თარგმნა მარინე დათუნაშვილმა.

# ვარდები

## მოთხრობა



კორეაში, სეულის სამხრეთ ნაწილში მომხდარი ბრძოლის შემდეგ დანაკლისი მეტად დიდი იყო. ალენ ფულტონმა ექვს ნაბიჯზე ძლივს გადაათრია თავისი დაბეგვილი სხეული. გაუპარსავი სახიდან უხეში ტუნიკის სახელოთი ტალახში არეული ოფლი მოიწმინდა და მიმოიხედა.

— მადლობა ღმერთს, ყველაფერი დამთავრდა! — თქვა მან.

ჭურვისგან გათხრილ ორმოს ძირში მეორე ჯარისკაცი იწვა, ზევიდან მიწა ეყარა. სერჟანტი ჯიმი ქოუსთვორთი მაშინ დაიჭრა, როცა იგი და ალენი თავის შესაფარებლად სანგრისაკენ გარბოდნენ. ალენს შეეძლო, მიეტოვებინა იგი, მაგრამ თავის პრინციპს — უანგაროდ დახმარებოდა სხვას — არ უღალატა. ჯიმი ორმოდან ამოიყვანა და რამდენიმე იარდზე გადაათრია.

დაჭრილმა თვალები გაახილა, ალენს შეხედა და გაღიმება სცადა.

— ვკვდები, ალენ, ჩემი ტუნიკის ჯიბეში წერილები მოძებნე და როცა შინ დაბრუნდები, ჩემს ცოლს გადაეცი, მისამართი ზედ წერია.

— ჯიმ, მთავარ პუნქტამდე შევძლებ შენს მიყვანას! — უთხრა მან დაჭრილს.

— აქ დამტოვე და საველე ლაზარეთის მანქანას დაეწიე, სანამ დაბრუნდები, არაფერი მომივა!

ალენი ისე მოიქცა, როგორც უთხრეს.

ერთი საათის წასულიც არ იყო ალენი, ორი კორეელი ჯიმის დასახიჩრებულ სხეულს რომ წააწყდა...

ალენსა და საველე მედპერსონალს ორმომდე მისასვლელი გზის ნახევარიც არ გაევლოთ, მტერმა სროლა რომ ატეხა. სამი კაცი მიწაზე გაწვა. სროლა რომ შეწყდა, ისინი ფრთხილად წამოდგნენ და იმ ადგილისაკენ განაგრძეს გზა, სადაც ალენმა ჯიმი დატოვა, მაგრამ იქ არავინ დახვდათ — შორიახლოს გამსკდარ ყუმბარას სულ შეეცვალა იქაურობა.

* * *

მაურენ ქოუსთვორთმა ოფიციალური ცნობა მიიღო, რომლის მსგავსიც ბევრ ცოლს და დედას მოსდიოდა შტატებში — „დაიღუპა ბრძოლაში“...

იგი მაგიდასთან დაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და მწარედ აქვითინდა; არავინ იყო, ნუგეში ეცა მისთვის. მაურენი ხელში ჭმუჭნიდა ცნობას და ფიქრობდა: „მომავალს ჯიმის გარეშე უნდა შევხვდე. ისეთი უნდა დავრჩე, როგორიც მან მნახა უკანასკნელად — მომღიმარი და მხიარული. ო, ღმერთო, მომეცი ძალა, პირისპირ შევხვდე მომავალს“.

* * *

ალენ ფულტონის მაღალმა ფიგურამ ბულგრასის მთის წვერს მიაღწია. იგი შეჩერდა და ქვევით გადაშლილ ველს გადახედა.

მთიდან დაშვებულს თვალწინ ისეთი სურათი გადაეშალა, ნაბიჯს აუჩქარა. მას ერთი ნაწყვეტი გაახსენდა ჯიმის წერილიდან; ის იყო! მაურენ ქოუსთვორთი, თეთრებში გამოწყობილი, სწორედ იმ ბაღში, რომელზეც ხშირად უამბობდა ხოლმე ჯიმი.

ქალმა ვარდი მოწყვიტა და ბაღის კუთხეში სკამზე ჩამოჯდა. როცა ალენი ჭიშკარს მიადგა, მისი მშვენიერი ფიგურა წამოიწია და უცნობისაკენ შემობრუნდა.

— მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ და მყუდროება დაგირღვიეთ!

— ვინ ბრძანდებით?! — შეეკითხა ქალი და გაკვირვებული მზერა მიაპყრო.

— ალენ ფულტონი გახლავართ, — უპასუხა მან, — თქვენ კი ნამდვილად ქალბატონი ქოუსთვორთი ბრძანდებით!

— დიახ!

ალენმა ჯიბიდან წერილების დასტა ამოიღო და ქალს გაუწოდა.

მაურენს ვარდი ხელიდან გაუვარდა, ხელისკანკალით გამოართვა წერილები და ერთ-ერთი სასწრაფოდ გახსნა. კონვერტიდან გამხმარი ვარდი გადმოვარდა და ახლად მოწყვეტილის გვერდით დაეცა. ქალმა მათ დახედა და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— სიკვდილის წინ ნახეთ იგი? — ჰკითხა მან.

— დიახ! — უპასუხა ალენმა, — მარტო მე ვიყავი მასთან, სიკვდილის წუთებში მთხოვა, ეს წერილები თქვენთვის გადმომეცა!

— ხომ არ შემობრძანდებით შინ?! — ჰკითხა მაურენმა.

* * *

თითქმის სამი წელი გავიდა, რაც ალენი მაურენს შეხვდა. მათ იქორწინეს და ახლა თავიანთ პატარა ვაჟიშვილთან, ჯიმისთან, ერთად ცხოვრობენ.

ერთ ღამეს, ის იყო დასაძინებლად ემზადებოდნენ, რომ ვიღაც ხშირწვეროსანმა უცნობმა ბაღი გადაჭრა და კოტეჯს მიადგა. იგი ჩუმად მიიპარა ერთ-ერთ ფანჯარასთან და შეიხედა: ქალი სარწეველაზე იჯდა, მუხლებზე ნახევრად მძინარე ბავშვი ეწვა. პიჟამოში გამოწყობილი მამაკაცი ჩიბუხს აბოლებდა და გაზეთს კითხულობდა.

უცნობი ფანჯარას მოსცილდა და ტყეში გაბრუნდა, სადაც მარტოდმარტო ცხოვრობდა. უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში დღეში რამდენჯერმე მოდიოდა ვარდების ბაღში და პატარა ჯიმის ეთამაშებოდა ხოლმე...

ერთ დღეს ალენი სახლში რომ მივიდა, თქვა:

— მაურენ, გახსოვს ის უცნობი კაცი, ჩვენს ბაღში რომ დადიოდა, ჯიმის მეგობარი?!

— როგორ არა, რა მოუვიდა?!

— გუშინ მკვდარი უპოვიათ. ამბობენ, გულის შეტევით დაიღუპაო.

...უცნობის დაკრძალვის მეორე დღეს ალენი სოფელ ბულგრასში ჩავიდა — ბანკში საქმე ჰქონდა.

— მისტერ ფულტონ, რა კარგია, რომ მოხვედით! — შესვლისთანავე უთხრა ბანკის მმართველმა, — თქვენთვის ბარათი მაქვს გადმოსაცემი, — და მან ალენს დაბეჭდილი კონვერტი გაუწოდა.

გაკვირვებულმა ალენმა კონვერტს დახედა — წერილი მის სახელზე იყო; გახსნა და წაიკითხა...

— ყოვლისშემძლე ღმერთო! — შეჰყვირა მან, — წერილი ჯიმი ქოუსთვორთისგან არის და... მხოლოდ სამი კვირის წინ დათარიღებული!

— დიახ, უცნობს ჯიმი ერქვა სახელად! — თქვა სოიერმა.

ალენი ბანკიდან გამოვიდა. არადა, არ სჯეროდა, ნუთუ ჯიმი ცოცხალია და რაღაც მიზეზის გამო მალავს თავის ვინაობას?!.

...ჯიმი გონს მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მოსულა სამხრეთ კორეის ერთ-ერთ ჰოსპიტალში. ალბათ, ვერავინ გაიგებს, ჯიმის რის ფასად დაუჯდა ის, რომ მაურენსა და ალენს მშვიდად და ბედნიერად ეცხოვრათ!

„მაურენმა არ უნდა გაიგოს ჯიმის დაბრუნება“, — ფიქრობდა შინ მიმავალი ალენი და მან წერილი ცეცხლს მისცა.

— გმადლობთ, ჯიმ, — ჩაილაპარაკა თავისთვის და ცას ახედა, — შენ უდიდესი სიმტკიცე გამოიჩინე; არ მეგულება ამქვეყნად ადამიანი, მსგავსის გაკეთება რომ შეეძლოს!

ალენს მაურენი ბაღში დახვდა — მთელი კონა ახლად დაკრეფილი ვარდები შეჰქონდა შინ.

— ვარდები შენს თავს მაგონებენ, ძვირფასო! — უთხრა მან.

მაურენს გაეღიმა.

— ცოტაოდენი ბულგრასის ეკლესიაში გავგზავნე, უცნობის საფლავზე დასაწყობად, ჯიმის მოსახსენებლად, იგი ხომ სადღაც უცხო მიწაში წევს!

— კარგი გიქნია, — უპასუხა ალენმა და იგი ხელში აიყვანა, — მასაც ძალიან უყვარდა ვარდები!

# როცა ვერცხლი ოქროს სჯობია

არჩილ ჯორბენაძე



არიან გულშემატკივრები, რომლებიც ერთმანეთისაგან განასხვავებენ სპორტის სახეობებს. ზოგი ფანატიკურად უყვართ, ზოგი — ცოტა ნაკლებად. მაგრამ, ცხადია, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სპორტის ლამაზი და ულამაზო სახეობა. უბრალოდ, არიან ნიჭიერი და უნიჭო შემსრულებლები. განა ასე არ იყო, როცა ჩვენმა მაყურებელმა ლამის პირველი ნახვისთანავე შეიყვარა და გაითავისა საქართველოში ახლად დანერგილი ხელბურთი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა ლეგენდარულ ჯემალ ცერცვაძეს? ალბათ, ასევე შეგვაყვარეს და სპორტის წმინდა ქართულ სახეობებად აქციეს ჭადრაკი ნონა გაფრინდაშვილმა, ჩოგბურთი — ალექსანდრე მეტრეველმა, ველსპორტი — ომარ ფხაკაძემ... ასეთი სპორტსმენები მაცოცხლებელ წყაროს ჰგვანან, ურომლისოდაც დაიშრიტებოდა ამა თუ იმ სახეობის წყალუხვი კალაპოტი და ტრიბუნებიც დაცარიელდებოდა. ეს ერთნაირად ეხება როგორც ახალმოვლენილ, ისე სპორტის ტრადიციულ სახეობებს, მაგალითად, ჭიდაობას. სწორედ უნიკალური შემსრულებლების დამსახურება იყო, რომ ჭიდაობის ქართულ სკოლას ოდითგანვე ფართო საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. რომელი ერთი გავიხსენოთ...

ჩემი ღრმა რწმენით, ფალავანთა ამ კაშკაშა თანავარსკვლავედში ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი აქვს განუმეორებელ რომან რურუას, სპორტსმენს, რომელიც განასახიერებდა თავისებურ იდეალს ნიჭით, აზროვნებით, ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალით, საოცარი მიზანსწრაფულობითა და შეუპოვრობით, გაუგონარი, ფანატიზმამდე მისული თვითკონტროლით.

შევეცადოთ ჩვენი მოსაზრების დასაბუთებას.

...რომან რურუას ჭიდაობა პირველად თბილისში გამართულ საბჭოთა კავშირის გუნდური თასის გათამაშებაში ვნახე. მანამდე არათუ არ ვიცნობდი, გვარიც არ გამეგონა მისი. სპორტის სასახლის ვეება დარბაზში სამი საჭიდაო ხალიჩა იყო გაშლილი. თითოეულ მათგანს „საკუთარი" მაყურებელი ჰყავდა. აღარ მახსოვს, რატომ, მაგრამ ჭიდაობაზე გვიან მივედი. ერთბაშად ხალხმა იხუვლა — რურუა ჭიდაობსო და მაშინვე ერთ-ერთი ხალიჩის გარშემო მოიყარა თავი. თურმე მანამდე უკვე ენახათ რომან რურუას გამოსვლა და მოუთმენლად ელოდნენ ხალიჩაზე მის ხელახლა გამოჩენას. ეს იყო მართლაც ენით აუწერელი სანახაობა, რომლის თითოეული ფრაგმენტი დღემდე მეხსიერებაში მაქვს აღბეჭდილი, თუმცა ეს მოხდა 1961 წელს. ცოტაა იმის თქმა, რურუამ მეტოქე დაჯაბნა და გაიმარჯვაო. ეს იყო რაღაც უფრო მეტი: უმაღლესი კლასის ჭიდაობის დემონსტრაცია თავისი ყველა ატრიბუტით. ხალიჩაზე ციბრუტივით ტრიალებდა საკუთარ ძალაში მტკიცედ დაჯერებული, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ფალავანი, რომელიც მოჭადრაკის სიზუსტითა და თანამიმდევრობით ახორციელებდა წინასწარ გააზრებულ გეგმას. ხოლო თუ როგორი ბრწყინვალებით აკეთებდა იგი ამას, ეს ჩემთან ერთად იხილა იმ დღეს სპორტის სასახლეში თავმოყრილმა ათასობით მაყურებელმა. აღტაცებული შეძახილები, დაუსრულებელი ოვაცია... ეს ტაში, ეს მადლიერების გრძნობა მაყურებელთა მხრიდან, თითქოს იმ დღეს დაებედა ჭაბუკ ფალავანს და მთელი სპორტული ბიოგრაფიის მანძილზე მიაცილებდა.

პირველი შთაბეჭდილება ბევრს ნიშნავს. ნიჭიერ ფალავანს მაყურებელი არც მომდევნო შეხვედრებში გაუწბილებია: გამოუცდელი ფალავნის წინააღმდეგ ძალას ცდიდნენ მსოფლიო ჩემპიონატების გვირგვინოსნები ან ამ წოდების მაძიებლები — კარავაევი, სტაშკევიჩი, გრიგორიევი, საპუნოვი... ამ ფალავნების სახელები მაშინ, ოცზე მეტი წლის წინათ, ქუხდა ჭიდაობის სამყაროში. ჭიდაობა კი, მოგეხსენებათ, ის სახეობაა, სადაც გამოუცდელი სპორტსმენები იოლად ვერ გაიკვლევენ გზას. ეს მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფების!

საბჭოთა კავშირის გუნდური თასის გათამაშების შემდეგ რომან რურუას „აქციებმა" ძალზე აიწია საკავშირო სარბიელზე. და აი, მაშინ, როცა იგი სავსებით მომზადებული იყო დიდი მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის, ტრავმამ იგი საკმაო ხნით ჩამოაშორა საჭიდაო ხალიჩას. ეს უნებური პაუზა თითქმის ერთ წელს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე რომან რურუამ აჯობა საკუთარ თავს და ერთი წუთითაც არ მოსვლია აზრად სპორტის საყვარელი სახეობის მიტოვება. მაგრამ სპორტსმენებმა იციან, რა ძნელია ხელახალი მიბრუნება სპორტში, განსაკუთრებით რჩეულთათვის, რომლებსაც უმძაფრესი კონკურენცია ელით თავიანთ უფრო ჯანმრთელ, ნავარჯიშევ და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ მეტოქეებთან.

1963 წელს რომან რურუა მაინც უბრუნდება სარბიელს. იმავე წელს მის თვალწინ იშლება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ხალიჩა, როგორც დიდი გამოცდა. ამ გრანდიოზულ ფორუმზე რურუამ უნდა დაამტკიცოს, რომ არაფერი დაუკარგავს წინანდელთან შედარებით და კვლავ რჩება უნიკალურ ფალავნად. ეს არ არის ადვილი, მაგრამ რურუას მაინც თავისი გააქვს. მეორდება თბილისური ტურნირის ისტორია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად რურუა საკავშირო სპარტაკიადის კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე ადის. ამ სიმაღლიდან მას, უკვე საკავშირო ნაკრების წევრს, იოლად შეუძლია დაინახოს მსოფლიო საფალავნო სარბიელი.

ტოკიოს ოლიმპიადის წინ რომანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბადალი არა ჰყავს. მეტოქეები საკმაოდ დიდი მანძილით ჩამორჩნენ. უძლეველი მხედართმთავრის დარად იგი ერთიმეორის მიყოლებით იგებს დიდ საერთაშორისო ტურნირებს და ამ გამარჯვებებს გვირგვინად ადგამს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებას. ტოკიოს ოლიმპიადისკენ მიმავალი გზა რურუასათვის ხსნილია!

მერე კიდევ ბევრჯერ გაიხსენებენ სინანულით უპრეცედენტო შეცდომას მსაჯებისას, რომლებმაც ტოკიოს ოლიმპიადის ფინალში აშკარად წაართვეს გამარჯვება ქართველ ფალავანს, მერე ლოზანაში კვლავ შეიკრიბება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი და ვიდეოჩანაწერით კვლავ აღადგენს იმ დრამატულ ფინალურ ასპარეზობას. თითქოს სამართალი პურს ჭამს, გამარჯვება ანგარიშით 3:0 მიენიჭება რურუას, მაგრამ ჭიდაობის მოღვაწეთა ეს აშკარად დაგვიანებული გადაწყვეტილება მის ოლიმპიურ ვერცხლს ოქროდ ვეღარ აქცევს. თურმე ზოგჯერ ვერცხლი სჯობია ოქროს.

ამიერიდან რურუა პატიოსან, რაინდულ ორთაბრძოლებში მეტოქეებს არავითარ იმედს აღარ უტოვებს, ხოლო მსაჯებს ხელახალი შეცდომის დაშვების შესაძლებლობას უსპობს. იგი თითქმის ყველა შეხვედრას ძალიან დიდი უპირატესობით იგებს. სამაგალითოდ გამოდგება 1966 წლის ტოლიდოს მსოფლიო ჩემპიონატი. ექვსი შეხვედრა — ექვსი გამარჯვება. მაგრამ მთავარი სხვა არის. თუ რურუას მიერ ჩატარებული ორთაბრძოლების ქულებს შევაჯამებთ, მივიღებთ განსაცვიფრებელ, მართლაც ფანტასტიკურ შედეგს — 82:0. ესე იგი, ფალავანს მთელი შეჯიბრების მანძილზე არც ერთი ქულა არ დაუკარგავს!

მეხიკოს ოლიმპიადაზე მას ორჯერ უწყობენ სამედიცინო შემოწმებას. მარტო სპორტის სპეციალისტები კი არა, ექიმებიც საგონებელში არიან ჩავარდნილი. მათი აზრით, ის, რასაც რურუა სჩადის საჭიდაო ხალიჩაზე, ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება და მხოლოდ დოპინგით არის მისაღწევი. ასე იყო თუ ისე, შემოწმებამ ცხადყო, რომ რურუასთანა ჯანმრთელი ადამიანი ბარე ორი არ არის ოლიმპიადაზე.

ბევრი, ძალზე ბევრი ორთაბრძოლა გადაუხდია საჭიდაო ხალიჩაზე რომან რურუას, მაგრამ ჩემთვის, როგორც გულშემატკივრისა და მისი მეგობრისათვის, განსაკუთრებით საგულისხმოა საბჭოთა კავშირის ხალხთა 1971 წლის სპარტაკიადა. ამ შეჯიბრების წინ ქართველი მოჭიდავეები საწვრთნელ შეკრებაზე იყვნენ ბორჯომში. საწვრთნელ ბანაკში მითხრეს, რომან რურუა ძალზე ცუდად გრძნობს თავს და სათუოა მისი სპარტაკიადაში გამოსვლაო. რა თქმა უნდა, ხასიათი წამიხდა, მაგრამ მაინც არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ ასეთი გაუგონარი სიმტკიცის ადამიანი ერთ-ერთ ყველაზე საპრესტიჟო შეჯიბრებაში გამოსვლაზე უარს იტყოდა, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის ნაკრებში მისი სრულფასოვანი შემცვლელი არავინ იყო, ხოლო სპარტაკიადის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი იწყებოდა. ეს ყველაფერი ასე იყო, მაგრამ რა უნდა ექნა რომანს წელის საშინელი ტკივილისათვის?

გავიდა დრო და რომან რურუა კვლავ ვიხილეთ სპარტაკიადის ხალიჩაზე. ვერც მაყურებლები, ვერც მეტოქეები ვერ ამჩნევდნენ, რომ ფალავანი ჯერ კიდევ სავსებით გამოჯანმრთელებულიც კი არ იყო. ეს იყო მისი ბრწყინვალე, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო გაელვება, რომელმაც მისი ოდინდელი თბილისური დებიუტი გამახსენა. რომან რურუა ან პირველი უნდა ყოფილიყო, ან უნდა დაეტოვებინა სარბიელი. ასეც მოიქცა სპარტაკიადაში გამარჯვებისა და შემდგომ მსოფლიო ჩემპიონატში დამარცხების შემდეგ.

რაც შეეხება მისი გამარჯვებების ნუსხას, ნებისმიერი სპორტსმენი ინატრებდა ასეთ დიდებულ კოლექციას: საბჭოთა კავშირის ექვსგზის და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, მეხიკოს ოლიმპიადის ტრიუმფატორი. აღარას ვამბობთ ურიცხვ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებაზე.

ალბათ, ასეთი უნდა იყოს სპორტსმენი; ალბათ, რომან რურუა თავისი ადამიანური, მოქალაქეობრივი და სპორტული თვისებებით ძალიან ახლოს დგას იდეალთან. ეს იყო სპორტსმენი, რომელმაც თვით დროსაც კი გაუსწრო.

# ლექსები

**სიდონია გულისაშვილი**

## იცინის ქარი...

თმა დაიფერა, თუ ზამთრის დილა?
როგორც ზღაპარი, დგება ზამთარი.
გარეთ თუ შიგნით, შიგნით თუ გარეთ,
იცინის ქარი, იცინის ქარი.
ფერს ფერი მოსდევს, და ფერებს შორის
განთიადია... თუ შეფერება,
გარეთ თუ შიგნით, შიგნით თუ გარეთ
ღამე თეთრდება.. თუ მეჩვენება?!
...დრო დაიფერა — თმებზე ზამთარი
და მარტის დილა — როგორც ზღაპარი.
გარეთ თუ შიგნით, შიგნით თუ გარეთ,
იცინის ქარი, იცინის ქარი.

## ფიქრი

ჰფანტავდა ქარი ატმის ყვავილებს,
და ცის სივრცეში ქრებოდა მთვარე,
არ ვიცი, საით მივყავდი ფიქრებს,
არ ვიცი, საით იყო სინყნარე.
ბნელია ღამე... გრძელია ღამე...
ასე მესმოდა ქარის ხმაური.
მესმოდა თითქოს მიმაქანებდა
სიმარტოვეში ფიქრთა ზღვაური.
მთების კალთებზე ეძინა ღამეს,
ეძინა სოფელს, შრომით დაქანცულს,
მე კი მივდევდი... ვეძებდი მთვარეს,
მთების გადაღმა უკვე გადასულს.

# მსუბუქი მრეწველობის სიახლენი

### ბრინჯაოს მედალი

კოხტა, ნათელი, ორიგინალურად მოხატული შპალერი, რომელსაც თბილისის სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „სამგორი" ამზადებს, მოწონებით სარგებლობს მომხმარებელთა შორის.

პოლივინიქლორიდულ ზედაპირიანი შპალერების წარმოების ტექნოლოგიური პროცესის შემუშავებისათვის საწარმოს მუშაკები იური აბრამიძე, ლევან ელიბეკოვი და კონსტანტინე სალუქვაძე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდნენ.

სარეცხი შპალერის ახალი ტექნოლოგიის ათვისებით შრომისნაყოფიერება 40 პროცენტით გაიზარდა.

გაერთიანება „სამგორის" კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წელს 15 სახის 2,9 მილიონი მანეთის შპალერი გამოუშვას.

### საჰაერო ფილტრები

ზოგიერთი მარკის მსუბუქი ავტომანქანის შიდაწვის ძრავების საჰაერო ფილტრები საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა და საკმაოდ ძვირი გვიჯდებოდა. ავტომატიკის საკავშირო სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა და ცენტრალურმა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა ერთობლივად შეიმუშავეს საჰაერო ფილტრების დამზადების ტექნოლოგია.

თბილისის სასწავლო-საწარმოო გაერთიანება „ფონიჭალა" ჩვენს ქვეყანაში პირველი საწარმოა, რომელმაც ამ ფილტრების გამოშვება დაიწყო. გაერთიანება წელს 100.000 საჰაერო ფილტრს გამოუშვებს, ხუთწლედის ბოლოს კი ეს ციფრები ათჯერ გაიზრდება.

### „ღ ვ ი ნ ი ს ა"

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის მერაბ ზაუტაშვილის ხელმძღვანელობით მცხეთაში ამას წინათ დაამონტაჟეს ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც უალკოჰოლო სასმელს „ღვინისას" ამზადებს.

ახალი უალკოჰოლო სასმელი დიდი რაოდენობით შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს, მიკროელემენტებს, ამინომჟავებს, ვიტამინებს, სხვადასხვა ინგრედიენტებს. მასში სპირტის რაოდენობა 0,5 პროცენტს არ აღემატება.

„ღვინისა" ოქროსფერი არომატული სასმელია, აქვს საამო სურნელი. მას ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდაც იყენებენ.

მცხეთის საწარმო წელს ნახევარ მილიონ ბოთლზე მეტ „ღვინისას" გამოუშვებს.

### აფხაზეთის სუვენირები

სოხუმის სუვენირების და ხალხური ხელოვნების ნიმუშების ფაბრიკაში ამას წინათ მწყობრში ჩადგა ბროლისა და მხატვრული მინის ახალი საამქრო. მომხმარებლებს მოსწონთ აქ დამზადებული ფიალები, საყვავილეები, საკამფეტეები, ლარნაკები...

წელს საამქრო მომხმარებლებს მიაწვდის მინის სუვენირებს, ბრინჯაოსა და ხის შანდლებს, თიხისა და ბამბუკის ნაკეთობებს.

ახალ ათონში, გაგრაში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში განზრახულია გაიხსნას სოხუმის ფაბრიკის ფილიალები, რომლებშიც გამოცდილი ოსტატები იმუშავებენ.

### ბამბუკის ავეჯი

ბათუმის ავეჯის ფაბრიკაში დაიწყეს ბამბუკისგან დამზადებული ავეჯის სერიული გამოშვება. საოჯახო გარნიტურში შედის რამდენიმე მსუბუქი და ელეგანტური სკამი, სავარძლები, მაგიდები, ორი საწოლი.

ქართულ ეროვნულ სტილში დამზადებული ბამბუკის ავეჯი მალე დაამშვენებს სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, პანსიონატებს, კერძო აგარაკებს.

ბათუმის ავეჯის ფაბრიკა წელს 200.000 მანეთის ღირებულების ავეჯს გამოუშვებს. ეს მსუბუქი ავეჯი იოლი გადასატანი და ადვილი ასაწყობია.

# მტრედი და ფუტკარი

### ლეგენდა

ერთხელ ტყის ნაპირას, ახლად გადმოქცეულ ხის ძირზე, მტრედი შემომჯდარიყო და თვალთაგან ცრემლი ლაპა-ლუპით ჩამოსდიოდა. მის გვერდით ფუტკარი შემოჯდა და მტრედს გლოვის მიზეზი ჰკითხა.

— ოჯახის შექმნას ვაპირებდი. ამ ხის ტოზე ვაივაგლახით ბუდე ჩავიდგი, შიგ ორიოდე კვერცხი მედო, ვილაც ხელმრუდსა და უნამუსოს ხე წაუქცევია. ბუდე დაუნგრევია და კვერცხებიც დაუმტვრევია. ახლა თავი რისთვის ვიცოცხლო?!

ფუტკარმა პატარა თვალები აციმციმა, ფრთებიც შეათამაშა და მტრედს შებზუვლა:

— მაგისათვის თავს როგორ იკლავ! მე, ჩემო დაო, ადამიანს ჩემი დაულალავი შრომით, სუფთა, სამკურნალო თაფლს ვუმზადებ. რამდენ გადადებულ ავადმყოფს უებარ წამლად ქცევია ჩემი მაისის თაფლი, მაგრამ აგერ ვილაცა ნამუსდაკარგული ჩემს წმინდა თაფლში თავის უწმინდურ ხელებს უფათურებს, ვინ იცის, შიგ რას ურევს და მას ჩემს ნაყოფად ასაღებს, სახელს მიტეხავს. მაინც არ ვიკლავ თავს და არც კაცის სამსახურზე ვიღებ ხელს. შენ კი რაღაც ორიოდე კვერცხი გაგიტეხეს... სად კვერცხების გატეხა და სად სახელისა?! სანამ ცოცხალი ხარ, ხომ იცი, ყველაფერს ეშველება. ჩემო კარგო!

ეს თქვა თუ არა, ფუტკარმა თავისი პატარა ფრთები ერთხელ კიდევ შეათამაშა, თვალებიც აციმციმა, ადგილს მოსწყდა და იქვე წამოყელყელავებულ მინდვრის ყვავილებს მიაშურა. გულჭრელმა ყვავილებმა, თითქოს იცნესო მათი მუდმივი გულშემატკივარი, ერთმანეთს გადახედეს და ტანის ნაზი რხევით ხან ერთი იხმობდა თავისკენ, ხან მეორე. ფუტკარმა პატარა ნესტარი მოიმარჯვა, იმ ყვავილების გულმკერდში ცვარად დაყრილ ნექტარს ხარბად დაეწაფა, სიტკბო პირში დაიგუბა. მერე თავისი სახლის მოსაჩუქურთმებლად ფეხებზე ყვავილთა წებოვანი ფიფქიც აიკრა და ღალადატვირთულმა თავის სკას მიაშურა. მტრედს თვალი არ მოუშორებია ფუტკრისათვის, გარინდული იჯდა, თითქოს შენატრისო მის დაულალავ ფუსფუსს... და როცა ფუტკარი თვალს მოეფარა, თავისთვის ჩაილუღუნა:

— ხედავთ, მართლაც რომ თავისას არ იშლის ფუტკარი... „ყველაფერს ეშველებაო". ოლონდაც, რომ ეშველება: მე ბუდეს ხელახლა ჩავიდგამ, კვერცხებსაც ისევ დავდებ... მაგრამ ეს ახოვანი ხე მიწაზე რომ დაუნარცხებიათ, ეს რაღას იზამს? ავი კაცის ხელმა ეს ვებერთელა ნაზარდი რომ წააქცია, ნეტავ ამ უბედურს რაღა ეშველება?

— არც მე დავრჩები გულზე ხელდაკრეფილი! — წაიბურტყუნა აქამდე მუნჯად ქცეულმა ხის ძირმა, — ბედს თუ ვუჩივით, ეგ იმიტომ, რომ საჯავრებელი და საკვნესი ამქვეყნად ნამუსიანს უფრო მეტი ჰქონია, ვიდრე ხელმრუდს და ნამუსდაკარგულს.

დიახ, დრო გავა და მიწაში ღრმად გადგმულ ჩემს ფესვებზე ახოვანი ხე კვლავ წამოიზრდება, ფუტკარი თაფლს ისევ დაამზადებს... შენც ბუდეს ისევ ჩადგამ და კვერცხებსაც ისევ დადებ! ერთი სიტყვით, სიცოცხლე სანამ არის, ყველაფერს ვიპოვნით, მარტო ხელმრუდსა და უნამუსო ადამიანს არა ეშველება რა... ის ველარც დაკარგულ ნამუსს იპოვის ამქვეყნად და ველარც გატეხილ სახელს გაიმთელებს! — დაიბოლოვა ხის ძირმა და კვლავ გაირინდა.

**შალვა გოცირიძე**

თელავი

კ. შატკო

# დღემდე უცოლო ვარ

ხუთი საათი სრულდებოდა. ალბინა არ ჩანდა. მარცხენა ხელში გაზეთი მეჭირა და ვღელავდი.

მე და ალბინამ ერთმანეთი გუშინ გავიცანით კინოში. როცა ორსერიანი ფილმი დამთავრდა, ჩვენი შეუღლების ბედიც გადაწყვეტილი იყო.

— რა გქვია? — მკითხა ალბინამ, თან მაშინვე დამარიგა, — არ დაიბნე, ეცადე, მიცნო. აი აქ, გაზეთის ჯიხურთან შევხვდეთ ხვალ, ხუთ საათზე.

— იქნებ, ვერც შენ მიცნო?

ალბინა ჩაფიქრდა.

— ყოველ შემთხვევისთვის გაზეთი დაიკავე ხელში.

— მარჯვენაში თუ მარცხენაში?

— მარცხენაში, გულთან უფრო ახლოა. გაზეთი რომ გექნება ხელში. უფრო ადვილად გიცნობ.

ვდგავარ ახლა. მარცხენა ხელში გაზეთი მიკავია და ალბინას ველოდები.

ექვსის ოცი წუთი ხდებოდა, როცა ახმახი კაცი ამომიდგა გვერდში. ამოიღო გაზეთი, გაშალა, დაკეცა და მარცხენა ხელში დაიჭირა.

ვდგავარ, ბოლმით ვივსები. საცაა ალბინა მოვა და აქ ორნი დავხვდებით.

ახმახს შევხედე, ჩავახველე და, რაც შემეძლო, თავაზიანად ვუთხარი:

— გეთაყვა, თუ შეიძლება, გაზეთი მათხოვეთ.

— ძველია.

— უფრო კარგი! ბავშობიდანვე ძველი გაზეთების კითხვა მიყვარს.

მოწოდებული გაზეთიც მარცხენა ხელში დავიკავე და მოწინავეს დავხედე.

ახმახმა შემათვალიერა. მიყურა, მიყურა და ჩემზე უფრო თავაზიანად მითხრა:

— გეთაყვა, თუ შეიძლება, თქვენი გაზეთი მათხოვეთ.

ვერ გავიგე, ვერც მეორედ გავიგე. როცა მესამედ მთხოვა. კბილებშუა გამოვცერი:

— ძველია.

— აქედან ვხედავ, რომ დღევანდელია.

მივაშავე. იმ ჩემი ცოდვით სავსემ, გულთან რომ ხელია. იმ ხელში დაიჭირა გაზეთი და ნეკროლოგის კითხვა დაიწყო.

ჯიხურში ახალი გაზეთები მოიტანეს. ხალხი მოაწყდა. ზრდილობიანებს ნაყიდი გაზეთი თან მიჰქონდათ, უზრდელები იქვე კითხულობდნენ. მათ შორის ისეთი გარეწრებიც იყვნენ, რომლებსაც მარცხენა ხელში ეჭირათ გაზეთი და ჩაჰკირკიტებდნენ.

სხვა გზა არ იყო, ჯიხურს ვეცი. გაზეთის გამყიდველს ფული მივაჩეჩე და ვიყვირე:

— მთლიანად ვყიდულობ!

გამყიდველმა სათვალის ზემოდან ამომხედა და გაოცებულმა მკითხა:

— რა ბრძანეთ?

— მთლიანად ვყიდულობ! რაც დარჩა, ყველა გაზეთს ვყიდულობ!

მაგრამ არც ერთი არ მიყიდია. შორიდანვე შევასწარი ალბინას თვალი. ახალი კაბა ეცვა, თმა ცოტა სხვანაირად დაევარცხნა. მეტროს შესასვლელს უახლოვდებოდა, გვერდით ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი მისდევდა. კაცს მარცხენა ხელში გაზეთი ეჭირა.

ველარ მივასწარი. მეტროსთან სანამ მივქანდი, ალბინა თავის მხლებელთან ერთად თვალსა და ხელს შუა გაქრა.

დღემდე უცოლო ვარ, დავეხეტები და ვფიქრობ: ნამდვილად ალბინა იყო თუ არა ის ქალი, რომელსაც ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი მისდევდა?

გერმანულიდან თარგმნა მარინა წულუაშვილმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „დროშის" 1982 წლის № 8-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. მასოპუსტი; 5. მერსე; 7. არატი; 9. გარინჩა; 10. პელე; 11. კროი; 13. მაჩაიძე; 14. რანი; 15. ზიკო; 22. ეუსებიო; 23. მეტ[illegible]; 30. მური; 31. გუცაევი; 32. იარა; 34. ფონი; 36. ყიფიანი; 37. მესხი; 38. სორია; 39. მეტრეველი.

შვეულად: 1. ბენე; 3. პაიჭაძე; 4. საბო; 6. ევანსი; 8. „ტიფოზი"; 10. პარა; 12. იგოა; 16. გაბელია; 17. გერსონი; 18. ბარბასი; 19. ფონტენი; 20. ოლგუინი; 21. ეკლინდი; 24. ჩივაძე; 25. ორსი; 26. სტაბილე; 27. დიდი; 28. იაშინი; 33. ავიო; 35. ნესი.

მოსტაჟი მზია ლობჟანიძისა

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისი. სერგო ედიშერაშვილის ფოტო. მეოთხე გვერდზე: მზის ჩასვლა ზღვაზე. ზონდო დვალიშვილის ფოტო.

გადაეცა წარმოებას 26. VIII. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24 IX. 82 წ., უე 05745, ქაღალდის ზომა 70×1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 51000, შეკვ. 2083. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება


ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოტოკროსი

ბონდო დვალიშვილის ფოტო








ინდექსი 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა